ალია

## „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ

N82/3012/ 30 მაისი, 2 ივნისი 2014 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# რა კავშირი აქვთ ვლადიმერ სურკოვსა და ლევან ვასაძეს?



## საარჩევნო კომისიებში მომუშავე პენსიონერებს პენსია არ ჩამოეჭრებათ



დეპუტატებმა კენჭი უყარეს „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებას, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო პროცესში საუბნო და საარჩევნო კომისიაში დასაქმებულ პენსიონერებს პენსია აღარ ჩამოეჭრებათ, რომელსაც კანონის წინა რედაქციით ველარ მიიღებდნენ.

კანონი პარლამენტმა 100 დეპუტატის მხარდაჭერით მიიღო. ცვლილებების წინააღმდეგ ხმა არც ერთ დეპუტატს არ მიუცია. (პირველი)



## რატომ ვერ ისმენენ ძალოვნები ძმბნილი ზურაბ ადეიშვილის „ნაციონალებთან“ საუბარს?

## დევნილებს „აიდი“ ბარათის გარეშე რეგისტრაციაში არ ატარებენ?




## რა მოხდა გარდაბანში – „ნაცმოძრაობის“ პროვოკაცია თუ ეთნიკური კონფლიქტი?



## მკითხველები წიგნის ფესტივალზე ფასდაკლებებით ისარგებლებენ



„ექსპო-ჯორჯიაში“, მე-11 პავილიონში, თბილისის წიგნის მე-16 საერთაშორისო ფესტივალი გაიხსნა, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობენ გამომცემლები აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, ირანიდან და სომხეთიდან. სულ რეგისტრაცია გაიარა 63-მა მონაწილემ – გამომცემლებმა, წიგნის მაღაზიებმა და გამავრცელებლებმა. ფესტივალის მონაწილეები მკითხველს სთავაზობენ ფასდაკლებებსა და სხვადასხვა სახის აქციებს. დაგეგმილია ახალი წიგნების პრეზენტაციები.

პავილიონში განთავსებულია მკითხველთა კლუბი, სადაც მსურველებს გაწევრიანების შესაძლებლობა აქვთ. მკითხველთა კლუბში უკვე გაწევრიანებულ პირებს კი შეუძლიათ დაგროვილი ქულებით სასურველი წიგნი შეარჩიონ.

სხვადასხვა გამომცემლობების მიერ გამოცემული წიგნების შეძენა მკითხველს 1 ივნისის ჩათვლით, დილის 11.00 საათიდან 20.00 საათამდე შეუძლია. (ინტერპრესნიუსი)

## გირაოთი განთავისუფლებულ დათა ახალაიას საბერძნეთის სასამართლოში ქართველი ბიზნესმენი უჩივლებს



რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

# ყველას! ყველას! ყველას!

წლებია, „ალია“-„ქრონიკას“ უამრავი ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური ზეწოლისა თუ ფინანსური მარწუხებისა და წნეხის ქვეშაც კი არ გადაუხვევია მთავარი პრინციპისთვის – არასდროს უთქვამს თეთრზე, შავიაო! ამიტომაც დაგვსაჯეს და ჩვენი პრინციპულობა, სიმართლე 53500 ლარი დაგვისვეს („ფრესკოს“ „აყროლებული ქათმის“ სტატია კი 6500 ლარად შეგვიფასეს)! გაზეთისთვისაა ეს დიდძალი თანხა, თორემ ზოგიერთისთვის ერთი თვის პრემიაა. სამართლებრივად, პროტესტის სხვა ყველანაირი ფორმის გამოხატვითაც კი, აყროლებული ქათმებითაც რომ გავავსოთ დაბრმავებული ქართული სამართალი, ან კუბლაშვილი თავის მოსამართლეებიანად (თეა სოხაშვილი-ნიკოლაიშვილი, მაია ბაქრაძე, ვანო წიკლაური, თამაზ ურთმელიძე) – განაჩენი არ შეიცვლება, საბოლოოა და თანაც უტიფრად თავხედური – გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებაო. რადგან სიმართლის თქმისთვის ფულს გვთხოვენ, იძულებული ვხდებით, ქართულ ისტორიაში გაზეთისთვის უპრეცედენტო ჯარიმის გადასახდელად „თიბისი ბანკში“ სპეციალური ანგარიში გავხსნათ:

**GE30TB7568636020100001**

ყველას, ყველას, ყველას, ვისაც გწამთ ჩვენი და გჯერათ, რომ ორ ათწლეულზე მეტია, „ალია“-„ქრონიკას“ სიმართლე ტყუილად არ უწერია, დაჩაგრულის დასაცავად ტყუილად არ უბრძოლია! ახლა გვჭირდებით, რომ თუნდაც სიმბოლური ერთი ლარით გამოხატოთ თქვენი პოზიცია, ერთად შემოვულაწუნოთ ქართულ, გამომძალველ, დაბრმავებულ სასამართალოს, ვინძლო გამოფხიზლდეს.

რა მნიშვნელობა აქვს, ვის მხარესაა სიმართლე, უკვე მთავარია, ვის უჭირავს იარალი, ანუ ფული.

**პირველი შემოწირულობა ანგარიშზე უკვე შეიტანეს:**

**1. შპს სტამბა „ტორის“ ხელმძღვანელმა ნუკრი დოლიძემ – 1000 ლარი; 2. ჰომეოპათმა კახა საბახტარიშვილმა – 100 ლარი, 3. ტარიელ თაბაგარი – 3 ლარი, 4. ადვოკატი გურამ გვენცაძე – 100 ლარი, 5. დავით მამუკაშვილი – 1 ლარი, 6. მერაბ ომიაძე – 1 ლარი, 7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ – 100 ლარი, 8. „ტოიოტა-ცენტრის“ ხელმძღვანელი ირაკლი გურჩიანი – 1500 ლარი, 9. ირაკლი ქავთარაძე – 49 ლარი; 10. ოთარ ჯანდიერი – 10 ლარი; 11. ნათელა მაღლაკელიძე – 50 ლარი; 12. ს/ს „გურმანი“ – 50 ლარი; 13. ენრიკო იაკობაშვილი – 1000; 14. ზესიკი ადამია – 5; 15. ანა იმნაიშვილი – 5; 16. ჯიბუტი – 10; 17. დიმიტრი-ელენე-ენვერ ენდელაძე – 3; 18. რიმა გოჩიაშვილი – 50, 19. გელა სულაბერიძე – 2, 20. სერგო მწითურიძე – 100. 21. თამარ მდივნიშვილი – 5. 22. იოსებ ვაშაკიძე – 5, 23. ირინე ტატუნიშვილი – 5, 24. ნუკრი რევიშვილი – 10, 25. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი – 500, 26. მანანა ვახტანგაძე, რევაზ ფახურიძე – 1, 27. ამხანაგობა საადვოკატო ბიურო მიგრიაული და პარტნიორები – 70, 28. ვასილ მეტრეველი – 10, 29. ლაერტი ზუბადალაშვილი – 100.**

**მადლობა მათ თანადგომისთვის.**

# „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“ სოლიდარობას უცხადებენ

REPORTIORI.GE

დღეიდან „რეპორტიორის“ არც ერთი თანამშრომელი „ფრესკოს“ პროდუქციას არ იყიდის. მოვუწოდებთ საქართველოს ჟურნალისტურ ოჯახს: მხარი დავუჭიროთ და გვერდში დავუდგეთ გაზეთ „ალიას“, რომელსაც ებრძვიან იმიტომ, რომ თავისი მკითხველების, ანუ საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს იცავს“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რით ემუქრებიან სამართალდამცავები მაჟორიტარ კანდიდატებს?



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, გიგი უგულავას განცხადებით, ხელისუფლების მხრიდან ადგილი აქვს ზეწოლის ახალ ფორმებს, კერძოდ, უკვე დარეგისტრირებულ კანდიდატებზე ზეწოლას, რათა მათ „საკუთარი სურვილით“ უარი თქვან კანდიდატობაზე. უგულავას თქმით, 16 მაისს დასრულდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მერობისა და გამგებლობის კანდიდატების, აგრეთვე, პარტიული სიების შესაბამის საოლქო კომისიებში წარდგენის ვადა და სწორედ ამ დღიდან ხელისუფლებამ დარეგისტრირებულ კანდიდატებზე ზეწოლა დაიწყო.

„ზეწოლა მიმდინარეობს, როგორც მაჟორიტარული წესით ასარჩევ, ასევე პარტიული სიის კანდიდატებზე. სამართალდამცავების მხრიდან მიმდინარეობს პირდაპირი მუქარა, რომ მათ ან მათი ოჯახის წევრებს ჩაუდებენ იარაღს ან ნარკოტიკულ საშუალებას და დააპატიმრებენ, მათი ოჯახის წევრები და ნათესავები დაკარგავენ სამსახურს და აიძულებენ, დაწერონ განცხადება. „საკუთარი სურვილით“ კანდიდატობაზე უარი განაცხადა უკვე 11 პირმა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობაა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. ქვემო ქართლში ამ პროცესს ხელმძღვანელობს სამხარეო პოლიციის უფროსი ლევან კვიციანი, რომელიც პირდაპირ აძლევს დავალებას რაიონების პოლიციის ხელმძღვანელებს, ზეწოლა განახორციელონ დარეგისტრირებულ კანდიდატებზე.

განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი დმანისის რაიონში, რაც, ჩვენი აზრით, გასული საპრეზიდენტო არჩევნების დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის მაღალი შედეგითაა (41.53%) განპირობებული. დმანისში კანდიდატებზე ზეწოლის პროცესს ხელმძღვანელობს დმანისის პოლიციის უფროსი ალექსანდრე გიგანი“, – განაცხადა უგულავამ. (ინტერპრესნიუსი)

## დმანისში შესაძლოა, არჩევნების ლეგიტიმურობის პრობლემა შეიქმნას



როგორც დმანისის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კახა ოქრიაშვილმა განაცხადა, დმანისში „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის“ პარტიული სიიდან ექვსმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რაც კანონის გათვალისწინებით, სიის გაუქმების საფუძველს ქმნის. მისივე თქმით, ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც“, რომლის მიერ დმანისში წარდგენილი სიიდან ხუთმა პირმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა.

ოქრიაშვილის თქმით, დმანისში არჩევნების ლეგიტიმურობას პრობლემა შეიქმნება, თუკი სახელისუფლებო კოალიცია კონკურენტების გარეშე დარჩება.

„არჩევნებამდე ორი კვირით ადრე პოლიტიკური კონკურენტი სუბიექტის საარჩევნო სიის სრული მოხსნა ან ნაწილობრივი შეზღუდვა ჩრდილს მიაყენებს ადგილობრივი არჩევნების კონკურენტულ გარემოს და ეჭვქვეშ დააყენებს დმანისის რაიონის მოსახლეობისთვის და პირადად ჩემთვის არჩევნების ლეგიტიმურობას“, – აღნიშნა კახა ოქრიაშვილმა.

დეპუტატისთვის უცნობია, რა გახდა ამ ადამიანების მიერ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი. ოქრიაშვილი მათთან შეხვედრასა და ვითარებაში გარკვევას შეეცდება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დავით რაზმაძე: ამ ქალმა ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა აგოს ცილისწამებისთვის!



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე ირმა ნადირაშვილს ულირს პარლამენტარს უწოდებს და ამბობს, რომ ცილისწამებისთვის სასამართლოში უჩივლებს.

„მოვძებნი კვალიფიციურ იურისტს, ადვოკატს და ცილისწამებისთვის პასუხს ვაგებინებ ნამდვილად ულირს პარლამენტარს. ყოველთვის ეჭვი შემქონდა მაგ ქალის განცხადებებში, ცილისწამების გარდა არაფერი იყო, ვგრძნობდი, მაგრამ ახლა საკუთარ თავზე ყველაზე მეტად ვიცი, რომელ კორუფციულ გარიგებაში ვარ მე შესული? ამ ქალმა ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა აგოს ცილისწამებისთვის და ყველა იმ „ნაციონალმა“, რომლებსაც თვითონ აქვთ ეს საშინელებები ჩადენილი. „ოცნების“ პრობლემა რა არის, იცით? მართლა ლიბერალური პოლიტიკა აირჩიეს წინა ხელისუფლებასთან დაკავშირებით, საშინელი კრიმინალი არ ჰქონდათ ჩადენილი. ეს ინფორმაციები ვისი მიწოდებულიც არის ირმა ნადირაშვილზე აი, ზუსტად ისინი არიან კორუფციულ გარიგებაში, მაგრამ სანამ მე მაგათ „საქმენი-საგმირონიას“ შესწავლას დავიწყებ და გადავცემ შესაბამის ორგანოებს, მანამდე ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ“, – ამბობს დავით რაზმაძე.

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა გორში ბრიფინგი გამართა, სადაც გორის საკრებულო და ადგილობრივი ხელისუფლება კორუფციაში დაადანაშაულა.



„საკრებულომ აი, ეს მიწები, სადაც ახლა ჩვენ ვართ, მთლიანად გასცა თავის მეგობრებზე, თავის ნათესავებზე და თავისი ოჯახის წევრებზე. თქვენ იცით, რომ დავით რაზმაძე არის საკრებულოს თავმჯდომარე და სწორედ საკრებულოს თავმჯდომარემ „ქართული ოცნების“ სიით არჩეული დეპუტატის თამაზ შიოშვილის სიმამრს ვლადიმერ მანველიშვილს აქ მისცა ნაკვეთი 1395 კვ.მ, ასევე დავით რაზმაძის ბავშვობის მეგობარმა ვასილ სიდამონიძემ აქ მიიღო 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მესამე გახლავთ „ოცნების“ სიით მეოთხე ნომერი საკრებულოში დავით წეწვაძე, თქვენთვის ყველასთვის კარგად ნაცნობი „კარაქა“ და მისმა რძალმა ლია იორამაშვილმა აქ მიიღო 1000 კვ.მ მიწის ფართობი. ასევე არის „ელიტ სერვისი“, რომელიც 2013 წელს დაარსდა და მას აგვისტოში უკვე გამოეყო მიწის ნაკვეთი, ასევე არის შპს „კარტრის მენეჯმენტი“. არ ვიცით, ვინ არიან ეს ადამიანები და მათაც მიიღეს 1976 კვ.მ მიწის ნაკვეთი. გვაქვს ინფორმაცია, რომ აქ ელექტრონული ტენდერებით გაიყიდა მიწა და მისი საბაზრო ღირებულება იყო ძალიან მაღალი. ერთ შემთხვევაში 3000 კვ.მ-ში გადაიხადეს 260 000 ლარი და ჩემ მიერ ჩამოთვლილმა ადამიანებმა კი ეს მიწები მიიღეს მინიმალურ ფასად 49-წლიანი იჯარით. ეს არის აბსოლუტურად კორუფციული სქემა. ამ მთავრობას უკვე პენსიები, პრემიები და ხელფასები აღარ ჰყოფნის, ეს მთავრობა მოვიდა იმისთვის, რომ მთლიანად თავიდან ბოლომდე ჩაიფლოს კორუფციაში, ეს არის ამის დამადასტურებელი. მე ვაცნობ პროკურატურას, რომ ჩემი განცხადება მიიღოს ცნობად და აუცილებლად დაიწყოს გამოძიება როგორ მოხდა, რომ საკრებულოს მეგობრებზე, დეპუტატის ოჯახის წევრებზე, სიის მეოთხე ნომრის რძალზე ეს მიწები გაიცა 49-წლიანი იჯარით. ეს აკლდება გორს, აკლდება გორის განვითარებას და აკლდება მოსახლეობას“, – განაცხადა ნადირაშვილმა ბრიფინგზე. (ინტერპრესნიუსი)

# რატომ ვერ ისმენენ ძალოვნები ძებნილი ზურაბ ადეიშვილის „ნაციონალებთან" საუბარს?

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩვენი სასამართლოს „ნაციონალურმა" პრინციპულობამ ყოველგვარ თავხედობას გადააჭარბა — უგულავას გამართლებამ, კეზერაშვილის გამართლებამ, პრესის დასჯამ და აგერ, გირგვლიანის პროცესებზე „ზონდერების" გამოჩენამ და სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურებამ, ხალხი უკვე მიიყვანა იმ დონემდე, რომ სულ მალე დაიწყება მასობრივი ცემა-ტყეპა და „ნაციონალების" „დაპადიეზდება".**

**კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე და რა გეგმები აქვთ „ნაციონალებს"? „ალიას" საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ესაუბრება:**

– ხალხი უკვე წამსვლელია მაგაზე, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც „ნაციონალების" წისქვილზე ასხამს წყალს. რაც გარდაბანში ხდება, ესეც ამ მოვლენების ნაწილია. ჩვენ რატომღაც გვავიწყდება, როგორ მოვიდნენ „ნაციონალები" ხელისუფლებაში – გაიხსენეთ, სააკაშვილმა ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი გადაატრიალა და კონსტიტუციაც კი საკუთარ თავზე მოირგო. როდესაც სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო, თვითონ ჩაატარა სასამართლო რეფორმა, ამით ტრაბახობდა და გახდა თუ არა პრეზიდენტი, ყველა ერთ დღეს დაიფრინა და ისეთი ხალხი მოიყვანა, ზოგს ბაკურციხის ინსტიტუტი აქვს დამთავრებული. ამათ ლაწირაკი ბავშვები დასვეს თანამდებობებზე, თავიანთი ნების შემსრულებლებად გამოზარდეს და ახლა არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისინი ისევ „ნაციონალების" ერთგულები დარჩებიან. ჩვენ რა მივიღეთ შედეგად? დღეს სააკაშვილის მოსამართლეების გადაწყვეტილებები უკანონო და უსამართლოა.

**— არსებობს უამრავი ბინძური საქმე, არსებობს 330 ათასი გასამართლებული ადამიანი, 200 პოლიტპატიმარი. როგორ შეიძლება, ამის შემდეგ ამ მოსამართლეებს არ მოეთხოვოთ პასუხი?**

– მე აქამდე ახალ ხელისუფლებაზე ხმას არ ვიღებდი, რადგან შინაგანადაც და გარეგნულადაც ვარ მისი მომხრე, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც დაკავებულია შიდა პოლიტიკური გარჩევებით, ნამდვილად იმსახურებს კრიტიკას. არ მესმის, რატომ ჰყავთ „ნაციონალებს" იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 9 წევრი და „ქართულ ოცნებას" – 4 წევრი? რატომ უნდა ჰყავდეს თავისი წევრები ან ერთ მხარეს, ან კიდევ მეორეს? რას აკეთებს ეს ხალხი, ხელფასებსა და პრემიებს რაში იღებენ? სასამართლო უნდა გახდეს თვითმმართველი ორგანო და მოსამართლეებს უნდა ნიშნავდეს სპეციალური კომისია. დღეს ყველაფერში უკუღმართობა გვაქვს და დალაგება არავის არ უნდა.

**— ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა აწყობდეს სიტუაციის დალაგება და პირველ რიგში, უნდა აწყობდეს სასამართლოს მოწესრიგება. როცა მეუბნებიან, ნახევარი საქართველო ციხეებში იტანჯებოდაო, ეს ამ მოსამართლეების გადაწყვეტილებების გამო არ მოხდა?**

– ნახევარ საქართველოს რომ თავი დავანებოთ, ნებისმიერი პოლიტპატიმრის საქმეზე გამოტანილი განაჩენის ავტორი არის სისხლის სამართლის დამნაშავე. ეს არის ჩვეულებრივი სამართლებრივი ანაბანა. სხვათა შორის, თავის დროზე გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით „რესპუბლიკელები" აქტიურობდნენ. ეს ბიჭი იყო სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი, ახლა რატომ არ ჩანან? მაშინ ჩნდება ეჭვი, რომ ისინი მაშინ ამას იყენებდნენ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე. „რესპუბლიკელების" წარმომადგენლები რომ მივიდნენ სასამართლო პროცესზე, ეს სულაც არ იქნება სასამართლოზე ზეწოლა. როცა სანდრო გირგვლიანის მამას ხელისუფლება არ უჭერს მხარს, რა თქმა უნდა, ამას „ნაციონალები" აუცილებლად გამოიყენებენ. ამ შემთხვევაში ინიციატივას ხელში იღებს ირაკლი კაკაბაძე, რომელიც ემოციური კაცია. ხანდახან მისი საქციელი სარკაზმში გადადის, ის პიარის სპეციალისტია და რაღაც-რაღაცები იცის, მაგრამ ამერიკული მოდელები საქართველოში კარგად არ მუშაობს და ყველაფერი გადადის ხოლმე მარგინალიზაციაში. მე ირაკლის ვურჩევ, როგორმე ამ მარგინალიზაციას გაექცეს.

**— როგორც ჩანს, ხელისუფლებას ამერიკელებმა უთხრეს, სასამართლოს ხელი არ ახლოთო.**

– კი, კი... ამერიკელებისთვის 2012 წლის პირველი ოქტომბერი იყო კატასტროფა. როცა ამერიკის ელჩი, ნორლანდი მიხვდა, ყველაფერი მძიმედ დატრიალდებოდა, დილიდან ეგრევე დარეკა სააკაშვილთან: შეწყვიტე საარჩევნო პროცესი და შედეგები შეატრიალე 60/40-ზე „ოცნების" სასარგებლოდო. მანამდე პირიქით უნდა ყოფილიყო. ახლა ვიღაცა მეტყვის, შენ საიდან იციო? ვიცი, მორჩა და გათავდა, ეს კულუარებში ყველამ იცის, მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს. მეტსაც გეტყვით, იმ დროს საქართველოში რეალური შედეგი იყო 80/20-ზე „ქართული ოცნების" სასარგებლოდ, მაგრამ დაიდო ის შედეგი, რასაც დღეს ვხედავთ. სიტყვამ მოიტანა და ამაზეც უნდა ვთქვა: უცნაური არ არის, რომ 3-მილიონიან ქვეყანაში დღემდე ამომრჩეველი ვერ დაგვითვლია? რატომ ვერ ვარკვევთ, ვინ სად არის მიწერილი და ვინ სად ცხოვრობს? მე ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს უნდა გაუკეთოს კიდევ ერთი სიკეთე, დაახლოებით 15 მილიონი დაჯდება ელექტრონული საარჩევნო სისტემა. ეს საშუალებას მოგვცემს, ყოველგვარი დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე ჩავატაროთ არჩევნები. დღეს რომ მიდის ბრძოლა, კომისიებში ხალხი ჩაგვისვითო, ეს საერთოდ აღარ იქნება საჭირო. ვისაც თავისი კაცი ჰყავს კომისიებში, იმას უფრო მეტი შანსი აქვს, გაითამაშოს მაქინაციები.





**„ახლა „ნაციონალებს" ჩართული აქვთ „ვაიბერის" სისტემა და როგორც ამბობენ, ამ სისტემას ახალი ხელისუფლება ვერ ისმენს. როგორც მე მითხრეს, სწორედ ამ „ვაიბერით" იძლევა რეკომენდაციებს ადეიშვილი"**

**— თუკი ეს ყველაფერი 15 მილიონი ჯდება, რად უნდა მაგას ბიძინა ივანიშვილი? ერთი თვე პრემიები არ გამოიწერონ და ცოტა ხურდაც დაგვრჩება.**

– ამ სისტემაზე ჩვენს დროსაც კი იყო საუბარი დაწყებული, მაგრამ არც ერთ ხელისუფლებას არ აღ-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის კავშირს სომხეთიც შეუერთდება



რუსეთმა, ბელორუსმა და ყაზახეთმა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

რუსული მედიის ინფორმაციით, შეთანხმება სამი ქვეყნის ლიდერებმა – ვლადიმერ პუტინმა, ალექსანდრე ლუკაშენკომ და ნურსულთან ნაზარბაევმა ასტანაში გააფორმეს.

შეთანხმების თანახმად, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მონაწილე ქვეყნები საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილების გარანტიებს იღებენ. ამასთანავე, კავშირის მონაწილე ქვეყნები შეთანხმებულ პოლიტიკას გაატარებენ ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სფეროებში.

შეთანხმება 2015 წლის 1-ლი იანვრიდან შევა ძალაში.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის განცხადებით, უახლოეს მომავალში, ევრაზიული კავშირის სრულყოფილი წევრი სომხეთიც გახდება.

„განვიხილეთ შეთანხმების პროექტი, რომელიც სომხეთის შეერთებას ითვალისწინებს. საჭიროა დოკუმენტის ძალიან მალე განხილვა და ხელმოწერა. სომხეთი შეთანხმების განხილვას ივნისში გეგმავს. ევრაზიული კავშირის ჩამოყალიბების შემდეგ სომხეთი ძალიან მალე გაერთიანების სრულყოფილი წევრი გახდება. ვისაუბრეთ ევრაზიულ კავშირთან სხვა პარტნიორის მიერთებაზეც, კონკრეტულად – ყირგიზეთზე. საკითხი პრეზიდენტთან განვიხილეთ და ვფიქრობ, არსებობს შანსი, ეს უახლოეს თვეებში მოხდეს. ამ გაერთიანების იდეას რუსეთში ნაციონალური კონსენსუსი აქვს. ჩვენ მას ყველანი მხარს ვუჭერთ, მიუხედავად იმისა, ვინ არის ხელისუფლებაში. ეკონომიკაში, ენერგეტიკაში, ტრანსპორტში, სხვა სფეროებში ჩვენი პოლიტიკა ერთიანი იქნება. ჩვენ ყველაზე დიდ ბაზარს ვაყალიბებთ დსთ-ის ფარგლებში – 170-მილიონიან ბაზარს, ყველაზე დიდი რესურსებით მსოფლიოში", – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჯილდოს მიღება მიულოცა



გერმანიის ქალაქ აახენში, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეის კარლოს დიდის სახელობის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ევროპული საბჭოს პრეზიდენტს ჯილდოს მიღება მიულოცა.

„ჩემთვის საპატიო და სასიხარულოა დღეს ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაზე ესოდენ განსაკუთრებული აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლა. თითქმის სამოცი წლის განმავლობაში კარლოს დიდის სახელობის პრემია გადაეცემა მათ, ვინც განსაკუთრებულ სამსახურს უწევს ევროპის ერთობის საქმეს. ეს პრემია, როგორც ის მისმა დამფუძნებელმა, დოქტორ კურტ პფაიფერმა დაახასიათა, მიზნად ისახავს ევროპის ხალხთა არაძალადობრივი, ნებაყოფლობითი ერთობის უზრუნველყოფას, რათა დაცული იყოს უზენაესი ამქვეყნიური ღირებულებები: თავისუფლება, ჰუმანურობა და მშვიდობა.

წელს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა პატივი მივაგოთ განსაკუთრებულ პოლიტიკოსსა და მიზანმიმართულ ლიდერს, შერიგების თითქოსდა, შეუძლებელი გზების მაძიებელს და ევროპისა და ევროპული იდეის მგზნებარე პროპონენტს.

ძვირფასო ბატონო რომპეი, საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხის სახელით, ასევე ჩემგან პირადად, გულწრფელად გილოცავთ 2014 წლის კარლოს დიდის სახელობის პრემიით დაჯილდოებას და მოგახსენებთ მადლობას არა მხოლოდ ჩემი ქვეყნის მხარდაჭერისთვის ევროპულ გზაზე წინსვლაში, არამედ თქვენი ფასდაუდებელი წვლილისთვისაც ევროკავშირის კონსოლიდაციისა და შემდგომი განვითარების საქმეში", – მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპის საბჭოს პრეზიდენტს.

ირაკლი ღარიბაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის მნიშვნელობაზე და იმ სარგებელზე, რომელიც ამ ისტორიული მნიშვნელობის გაფართოებას მოაქვს როგორც ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის, მათი ეკონომიკისა და მოქალაქეებისთვის, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვისაც.

„გაფართოებამ მოიტანა გაზრდილი ერთიანი ბაზარი ახალი და მნიშვნელოვანი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობებით, უფრო კონკურენტუნარიანი ევროპა და, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, მან შეახსენა ევროპელებს, რომ ევროკავშირი არსით პოლიტიკური პროექტია, რომელიც გულისხმობს კონტინენტზე მშვიდობის, დემოკრატიისა და კეთილდღეობის გავრცელებას. ევროპა არის უნიკალური კონტინენტი, სადაც ადამიანს შეუძლია, სათუთად მოუფრთხილდეს თავის მემკვიდრეობას, რომელიც ასაზრდოებს მას და ამზადებს მომავლისთვის". – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (კვირა)

*მესამე გვერდიდან*



მოაჩნდა ნება, რომ ეს გაეკეთებინა. სხვათა შორის, არც ოპოზიციას აწყობს, თუ წააგებს, მერე ველარ იყვირებს, რომ გაყალბებულია. ახლა მეორე თემა... „ნაციონალები“ ტრაბახობენ, იუსტიციის სახლები ჩვენი ბრენდიაო და ვაშაძე უკრაინაში წავიდა, ახალ ხელისუფლებას გამოცდილება უნდა გავუზიაროოო. არანაირი ბრენდი ეგ არ არის, იუსტიციის სახლში დადგმულია რამდენიმე კომპიუტერი, რომელსაც ისევ მართავს ზურაბ ადეიშვილი. ასევე, მაქვს ინფორმაცია, შეუძლიათ მიჩივლონ, „რუსთავი 2“-საც ამ წუთას მართავს იგივე ადეიშვილი. ალბათ, გახსოვთ, ერთ-ერთ ინტერვიუში გითხარით, „რუსთავი 2“-ში სხვადასხვა ჯგუფები არსებობს, ნინო შუბლაძესა და „ინტელექტუალ“ ნიკა გვარამიას შორის დაპირისპირებაამეთქი, ამის შემდეგ წავიდა სამსახურიდან შუბლაძე. ახლა „ნაციონალებს“ ჩართული აქვთ „ვაიბერის“ სისტემა და როგორც ამბობენ, ამ სისტემას ახალი ხელისუფლება ვერ ისმენს. როგორც მე მითხრეს, სწორედ ამ „ვაიბერით“ იძლევა რეკომენდაციებს ადეიშვილი, რა როგორ უნდა გაკეთდეს „რუსთავი 2“-ში.

**— ბატონო ვალერი, ამბობენ, რომ ზურაბ ადეიშვილს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, თქვენ ამის შესახებ რამე გსმენიათ?**

– მე ვიცი, რომ ადრე პრობლემა ჰქონდა ფილტვზე, მაგრამ ახლა რა მდგომარეობაშია, არ ვიცი.

**— რაში სჭირდება ადეიშვილს „რუსთავი 2“-ის მართვა, რა ხეირი აქედან?**

– დაუკვირდით, მიშა სააკაშვილი „რუსთავი 2“-ზე მაინცდამაინც აღარ ჩანს, როგორც მითხრეს, ბოლო დროს ფეხებზე დაიკიდა და ამიტომ ამ საქმეს ადეიშვილმა მოჰკიდა ხელი. თავის დროზე „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლაში „რუსთავი 2“-მა დიდი როლი შეასრულა და ახლაც ამისთვის სჭირდებათ.

**— ბოლო დღეების ცემატყეპა სადამდე მიგვიყვანს?**

– საქართველო პატარა ქვეყანაა და რომელი „ნაციონალი“ სად წამოყოფს თავს, ვერ გაიგებ, მაგრამ ადამიანი, რომელსაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ხომ უნდა დაისაჯოს? როგორ შეიძლება, ასეთი დამნაშავეები დღეს დარჩნენ თანამდებობებზე? რასაც დღეს „ნაციონალები“ აკეთებენ, ეს ყველაფერი უცხოეთში გადის სულ სხვანაირად, სადაც არ იციან, ვინ არიან ნოდარ ლადარია და ზურაბ ჭიაბერაშვილი. ლადარია შეიძლება კაფეში შევიდა და სვამდა ჩაის, მაგრამ ის აგრესიულ, ცილისმწამებლურ, საზიზღარ სტატიებს აქვეყნებს. ეს ჩემი აზრია და შეუძლია, სასამართლოში მიჩივლოს. მე ამ ადამიანს არ ვიცნობ, ნაკითხია, განათლებულია, მაგრამ ამავე დროს ცილისმწამებელიც არის. ასეთ ინტელექტუალებს, ხშირად ემართებათ ასეთი რაღაცა, ხელისუფლების იდეოლოგებად იქცევიან ხოლმე და მერე ამ ფონზე მოსწონთ თავიანთი ფილოსოფიური წიაღსვლები. ამის შემდეგ წყდებიან რეალობას, ადამიანობას და რაც მთავარია, სამართლიანობას. ჭიაბერაშვილი და ლადარია ფიზიკურად არ არიან აგრესიულები, მაგრამ სამაგიეროდ იდეოლოგიურად არიან აგრესიულები. თუ ესენი მე შემხვდებიან, შეიძლება ვიკამათოთ და ცხელი ჩაი არ გადავასხა, მაგრამ, თუ უკადრებელს იკადრებენ, ისეთივე პასუხს მიიღებენ, რაც რეზო თაბუკაშვილმა გააკეთა. ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო ნაკლები უბედურებაა, ვიდრე ჭიაბერაშვილის იდეოლოგიური აგრესია.

**„ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს უნდა გაუკეთოს კიდევ ერთი სიკეთე, დაახლოებით 15 მილიონი დაჯდება ელექტრონული საარჩევნო სისტემა. ეს საშუალებას მოგვცემს, ყოველგვარი დიდი ფინანსური დანახარჯების გარეშე ჩავატაროთ არჩევნები. დღეს რომ მიდის ბრძოლა, კომისიებში ხალხი ჩაგვისვითო, ეს საერთოდ აღარ იქნება საჭირო“**



**„ამ შემთხვევაში ინიციატივას ხელში იღებს ირაკლი კაკაბაძე, რომელიც ემოციური კაცია. ხანდახან მისი საქციელი სარკაზმში გადადის, ის პიარის სპეციალისტია და რაღაც-რაღაცები იცის, მაგრამ ამერიკული მოდელები საქართველოში კარგად არ მუშაობს და ყველაფერი გადადის ხოლმე მარგინალიზაციაში. მე ირაკლის ვურჩევ, როგორმე ამ მარგინალიზაციას გაექცეს“**

»» გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თქვენი ხედვა მოძველებულია, ქმედება — დამღუპველი და ნუ გიკვირთ უუნაროს იარლიყი“



„დემოკრატიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ თავმჯდომარის, მუხრან ბურჭულაძის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას მშვიდი ძილის უფლება არ აქვს, რადგან ერთ თვეში ასოცირების ხელშეკრულებას ხელი ეწერება, რუსეთი კი ევრაზიული კავშირის იდეას ხორცს ასხამს.

„არ მგონია, საქართველოს მთავრობას მშვიდად ძილის, ოპოზიციის ტერორისა და რუსეთთან ლაქარდიანი ენით საუბრის უფლება ჰქონდეს.

სამხედრო თავდაცვითი შეიარაღების ჩვენს ტერიტორიებზე განთავსება უნდა იყოს ჩვენი მთავრობის მოთხოვნა და არა მხოლოდ ნატო-ს ინიციატივა.

პრობლემის გადაჭრას „ხმის წასვლა“, კარასინთან ჟღურტული და გაოცება არ შველის. რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებთან მიმართებაში მთავრობის პოზიცია ისეთივე არაეფექტურია, როგორიც ზაქარეიშვილის კონცეფცია.

თქვენი ხედვა მოძველებულია, ქმედება – დამღუპველი და ნუ გიკვირთ უუნაროს იარლიყი – ეს თქვენთვის ყველაზე მისაღები შეფასება უნდა იყოს“, – წერს მუხრან ბურჭულაძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

## პანღურისთვის მოხსნილი კადრი კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს



ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი, სოციალური ქსელის მეშვეობით წერს, რომ 2007 წელს, სოდ-ის ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი, დავით მხეიძე დაკავებისას მოქალაქისთვის პანღურის ამორტყმისთვის სამსახურიდან გაათავისუფლეს. დღეს კი ის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს.

„ეს მაშინ მოხდა, როდესაც ეს ხელისუფლება ოპოზიციაში იყო და ირაკლი კოდუა – სოდ-ის უფროსი (ძალიან ცუდი ნამდვილად). მაშინდელმა ოპოზიციამ, ანუ დღევანდელმა ხელისუფლებამ, პოლიტიკური გამოსვლებით იმდენს მიაღწია, რომ ვანო მერაბიშვილმა ირაკლი კოდუას დაურეკა და უთხრა, მოეხსნა თანამდებობიდან სოდ-ის ნარკომანიის უფროსი დავით მხეიძე. კოდუამ მინისტრის ბრძანება შეასრულა იმიტომ, რომ ფაქტი ძალიან პოლიტიზებული იყო (ზოგადად, კოდუა ცნობილია იმით, რომ ძალიან იცავდა საკუთარ კადრებს და ეს ყველამ იცის შსს-ში). გავიდა დრო. მაშინდელი ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდა და პანღურის გამო მოხსნილი დავით მხეიძე დანიშნეს კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილედ (რომელსაც შეუერთეს სოდ-იც) და ჩააბარეს მთელი ქვეყნის ნარკოდანაშაულის გაკონტროლება, ანუ იგივე რაზეც კოდუას ჰყავდა დანიშნული, უბრალოდ, ახლა უკვე უფრო დიდი მასშტაბებით)... მე მაინტერესებს, როდის იყავით, მეგობრებო, გულწრფელები ან მართლები? მაშინ როდესაც ოპოზიციაში იყავით, თუ დღეს, როდესაც ხელისუფლებაში ხართ?“, – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რეზო თაბუკაშვილს 2000-ლარიანი გირაო შეეფარდა




ზურაბ ჭიაბერაშვილზე თავდასხმაში ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების აღნიშნული ფორმა ბრალდების მხარემ მოითხოვა, რასაც დაცვის მხარეც დაეთანხმა. პროცესს რეზო თაბუკაშვილიც ესწრებოდა.

როგორც ცნობილია, რევაზ თაბუკაშვილთან ერთად შემთხვევის ადგილზე გიო მგელაძეც იმყოფებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მგელაძეს ბრალი არ წარდგენია და ის გამოძიების ფარგლებში მოწმის სახით დაიკითხა.

ჭიაბერაშვილზე თავდასხმა 27 ივნისს, ვაკეში მდებარე ლიტერატურულ კაფეში მოხდა. ზურაბ ჭიაბერაშვილი იქ ნოდარ ლადარიასთან ერთად იმყოფებოდა. მას თავს დაესხნენ რეჟისორი გიორგი მგელაძე და რეზო თაბუკაშვილი-უმცროსი და თავის არეში დაზიანებები მიაყენეს. (ნიუპოსტი)

## აკრძალული საგნის გადაცემის მცდელობის ფაქტზე მოქალაქეებს ბრალი წარედგინა



სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის მაისში, მოქალაქეებს მ.კ.-ს, ნ.რ.-ს, ო.მ.-სა და შ.გ.-ს, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ აკრძალული საგნის გადაცემის მცდელობის ფაქტზე ბრალი წარედგინათ.

გამოძიების თანახმად, მ.კ. და ნ.რ. მივიდნენ დაბა ქსანში, სასჯელაღსრულების 15 დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიაზე და დაწესებულების შიდა ეზოსკენ ორი ფუთა ისროლეს, რომელშიც აკრძალული საგნები – ოთხი ცალი მობილური ტელეფონი იყო მოთავსებული.

იგივე აკრძალული საგნის, მობილური ტელეფონის გადაცემას ცდილობდნენ შ.გ. და ო.მ. მე-15 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდადებულისთვის. მათ მიერ ნასროლი ოთხი ფუთიდან ორი გარე ამკრძალავ კედელს მოხვდა, ხოლო ორი დაწესებულების ტერიტორიაზე დავარდა და თანამშრომლებმა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოიღეს.

აღნიშნული მუხლით ჩადენილი დანაშაული, სასჯელის სახით, 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

## სიღნაღში ცოფის შემთხვევის გამო კარანტინი გამოცხადდა



დაავადება სოფელ ერისიმედში, ერთ-ერთი ადგილობრივის კუთვნილ მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში გამოვლინდა. კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, ზურაბ არსენიშვილმა დაავადების კერის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების მიზნით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს ოფიციალური განკარგულებით უკვე მიმართა. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



დევნილმა, რომან კვიციანმა „ფეისბუკით“ სტატუსი გაავრცელა: „პატივცემულო მინისტრო, რამდენიმე თვეა, მიმდინარეობს დევნილთა რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციაზე ყოველ ჯერზე მივიღე პრინციპული უარი და არ დამარეგისტრირეს. მიზეზად დასახელდა ის, რომ ეგრეთწოდებული „აიდი“ ბარათი არ მაქვს საჭირო, „აიდი“ თუ პასპორტი, მათ კი, პასპორტის გარდა, ყველაფერი დაუშვეს. ამ რეგისტრაციით საკმაოდ ბევრი დევნილი დარჩება, სავარაუდოდ, რეგისტრაციის გარეშე. სახელმწიფოში მიდის ისტერიული „აიდი“ ბარათიზაციის“ იძულება, ყველა სახის ქმედებას მიმართეს, კატეგორიებად დაჰყვეს და უფასოდ დაურიგეს ეს

# დევნილებს „აიდი“ ბარათის გარეშე რეგისტრაციაში არ ატარებენ?

და მაქვს საზღვარგარეთის პასპორტი... საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დევნილია და არ უნდა ეს ბარათი, რატომ




აიძულებთ და რატომ არღვევთ მის უფლებას, გაიაროს რეგისტრაცია?!“

**„ალია“ რომან კვიციანს სიტუაციაში გასარკვევად დაუკავშირდა:**

– პირადობის მოწმობა არ მაქვს, არც ძველი და არც ახალი და პასპორტით რეგისტრაციაზე კი კატეგორიულ უარს მეუბნებიან. ან „აიდი“ ბარათი უნდა ავიღო ან არადა, დევნილად აღარ ვითვლები. ორჯერ მივედი და ორივეჯერ გამომაგდეს, კატეგორიულად მითხრეს უარი. მეუბნებიან, მისამართი არ წერია პასპორტშიო, მაგრამ არც „აიდი“ ბარათში არ იწერება მისამართი. მინისტრის ბრძანება არის, სადაც წერია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მაგრამ არაა დაკონკრეტებული, რეგისტრაციისთვის რომელი პირადობაა ბარათები მოსახლეობას. თუ რეგისტრაციაში არ მატარებენ იმ მიზეზით, რომ პასპორტში მისამართი არაა მითითებული, არც „აიდი“ ბარათში არაა მისამართი ჩაწერილი და ორივე დოკუმენტი ადასტურებს საქართველოს მოქალაქეობას.

**„ალია“ სამინისტროს წარმომადგენელს, დალი გოგოლაძეს დაუკავშირდა:**

**— ქალბატონო დალი, დევნილებისთვის სავალდებულოა, „აიდი“ ბარათის აღება?**

– ეს თემა ადრეც იყო აგორებული და ამიტომ მინისტრმა 287-ე ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც, დევნილს უნდა ჰქონდეს პირადობის მოწმობა, ან „აიდი“ ბარათი, რომ ვინმე ინტრიგანი არ გამოხტეს და არ თქვას, ხელოვნურად გვიშლიან ხელს დარეგისტრირებაშიო.

**— კი მაგრამ, ბევრს პირადობაზე ვადა გაუვიდა და პრინციპულად არ იღებს „აიდი“ ბარათს. ამ ადამიანმა საზღვარგარეთის პასპორტი წარმოადგინა და მაინც ვერ მოხდა რეგისტრაცია.**

– ახლა ბაზას ვერ ვნახავ, კონკრეტული პიროვნებისას, რადგან იუსტიციის სიაზე ვართ ჩვენ მიბმული, მაგრამ მთავარია, მან პირადობის რაიმე მოწმობა წარმოადგინოს.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სიხარული მოდის იმ ადამიანის გულში, რომელსაც უყვარს სხვა ადამიანი და უფალი“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის განცხადებით, თანამედროვე კაცობრიობას სიმშვიდე აკლია. ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებული საღმრთო ლიტურგიის შემდეგ, უწმინდესმა მრევლს ტრადიციული ქადაგებით მიმართა, ამაღლება მიულოცა და სიმშვიდისა და სიხარულის შესახებ იქადაგა.

„ამაღლების დღეს ჩვენ ვფიქრობთ იმის შესახებ, რა აკლია კაცობრიობას, რა გვაკლია ჩვენ. ზოგი ფიქრობს მხოლოდ მატერიალურზე, ზოგი – სულიერზე. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად კაცობრიობას აკლია სიმშვიდე და სიხარული. გეძლევათ ყველას ლოცვა-კურთხევა, შეინარჩუნოთ სიმშვიდე თქვენს გულებში, თქვენს სულებში, ეს ყველაზე მეტად აკლია კაცობრიობას. შევთხოვ უფალს, მოგვცეს სიმშვიდე. სიმშვიდე თუ იქნება, უფალი ჩვენთან იქნება. ამიტომ მიმართავდა მოციქულებს უფალი ყოველი შეხვედრისას „მშვიდობა თქვენთანა“. როდესაც ადამიანში ღვთის მშვიდობაა, მასში სიყვარული და სიხარულია. სიხარული მოდის იმ ადამიანის გულში, რომელსაც უყვარს სხვა ადამიანი, წამს და უყვარს უფალი. ამიტომ, ეცადეთ, სიმშვიდე იყოს თქვენს სახლებში. გეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ ხმამაღალი სიტყვით არ ისაუბროთ თქვენს სახლებში“, – აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

მისივე თქმით, ეს წესი ყველამ უნდა დანერგოს და თუ ვინმე ხმამაღალი სიტყვით მიმართავს, თავად სიმშვიდით უპასუხოს. „სადაც სიყვარული არ არის, იქ სიძულვილია“, – აღნიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. *(ინტერპრესნიუსი)*

## ხე-ტყის მოსაპოვებლად ყალბი ცნობის გაცემისთვის საჯარო მოსამსახურე დააკავეს



შს სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ქრთამის აღების ფაქტზე ამხილეს და დააკავეს ასპინძის რაიონის ტოლოშის თემისა და სოფელ აწყვიტას ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტი ვალიკო ივანიძე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვალიკო ივანიძემ თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას მოქალაქეებს დაუმზადა და გადასცა ყალბი ცნობა, რომელშიც მითითებული იყო არარეალური მონაცემები ხე-ტყის მასალის მოპოვებასთან დაკავშირებით, რის სანაცვლოდაც, ქრთამის სახით მოითხოვა და აიღო 600 ლარი.

სამართალდამცველებმა თანხა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით), რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. *(ნიუპოსტი)*

# ასი მილიონი საქართველოს მოსახლეობას, ტექნიკის განსაახლებლად, „სმაილისგან“ და „ვითიბი ბანკის“ უპრეცედენტო შეთავაზება



როგორც „ვითიბი“ ბანკის სათავო ოფისში, დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე, კომპანია „სმაილის“ მმართველმა პარტნიორმა ტარიელ მაჭავარიანმა განაცხადა, ახალი პროექტის ფარგლებში, კომპანია „სმაილი“ 100 მილიონი ლარის ღირებულების ტექნიკას ყველაზე ხელსაყრელი პირობებით გასცემს. „ყველა მომხმარებელმა, რომელსაც აინტერესებს წამყვანი ბრენდების – **SAMSUNG, PANASONIC, HOTPOINT/ARISTON, INDESIT** ტექნიკის შეძენა და არ სურს, დაკარგოს დრო ან გადაიხადოს ზედმეტი, უნდა მიმართოს „სმაილის“ ფილიალებს თბილისში, რუსთავში, ბათუმში ჭავჭავაძის №31-ში და მარტივად, 1 წუთში მიიღებს უპროცენტო განვადებას. ასე რომ, ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანს უკვე შესაძლებლობა აქვს, შეიძინოს სასურველი ნივთი დაფიქრების გარეშე, თუნდაც იმ მომენტისთვის ტექნიკის შესაძენად არანაირი თანხა გათვალისწინებული არ ჰქონდეს". – აცხადებს ტარიელ მაჭავარიანი.

„ვითიბი ბანკის“ საცალო ბიზნესის განვითარების სამმართველოს უფროსმა გივი ვადაჭკორიამ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას განმარტა: „ვითიბი ბანკი მომხმარებელს განვადების უნიკალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რომელიც პირობების მაქსიმალური გამარტივების შედეგად, გაცილებით მეტი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი. აქციის ფარგლებში მომხმარებელს შეეძლება, სასურველი ნივთი, ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გარეშე შეიძინოს. რადგან არ მოითხოვება არც გაცემის საკომისიო და არც თანამონაწილეობა".



მაღაზიათა ქსელი „სმაილი“ და „ვითიბი“ ბანკი 29 მაისიდან საზოგადოებას განვადების ახალ აქციას სთავაზობს. მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, შეიძინონ მათთვის სასურველი ნებისმიერი საოჯახო ტექნიკა, სულ რაღაც ერთი წუთის განმავლობაში მიიღონ „ვითიბი ბანკის“ უპროცენტო განვადება, განსხვავებული და საგრძნობლად გამარტივებული პირობებით. განსაკუთრებულად აღსანიშნავია, რომ ამ აქციის ფარგლებში განვადება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ხდება. პირობების თანახმად, შევსებული 10 განაცხადიდან 9 დამტკიცდება და განვადებით სარგებლობა უმრავლეს შემთხვევაში გახდება შესაძლებელი. ამისთვის მხოლოდ 150-ლარიანი შემოსავალია საკმარისი. აქციის ფარგლებში მომხმარებელს არ მოუწევს გაცემის საკომისიოს გადახდა და არ მოითხოვება თანამონაწილეობა.

„ალიას" თბილისის მერობის კანდიდატი, **ირმა ინაშვილი** ესაუბრა:



# „„კაცმა ისე როგორ უნდა იცხოვრო, რომ შენთვის ავტობუსის დაჯახება ხალხს გაუხარდეს?"

**— ირმა, რამდენიმე დღის წინ თქვენ ბრიფინგზე გაახმაურეთ, რომ იღებთ მუქარის შემცველ მესიჯებს ღია ნომრებიდან და პოლიციას მიმართეთ. გაირკვა რამე?**

– პოლიციასაც და პროკურატურასაც მივმართე საჯაროდ, ასევე, განცხადება შეიტანა ჩემმა ადვოკატმა. მივაწოდეთ გამოგზავნილი მესიჯები. ჯერ პასუხი არ მაქვს, იმედია, დაადგენენ, ვინ და რატომ „თამაშობს".

**— ეს ის ადამიანები ხომ არ არიან, ვისაც ამხელდით ხოლმე, „ზონდერებს" ვგულისხმობ, რომლებიც გირგვლიანის პროცესზე დაპირისპირებისას ამოიცნეს?**

– „ნაცისტების" გონორი საზოგადოებისთვის უკვე შეურაცხმყოფელია. ისინი საუბრობენ დემოკრატიაზე, კვერცხების სროლაზე და ანგარიშსწორებაზე, რაც სამარცხვინოა, რადგან თვითონ ტყვიებს გვიშენდნენ და არაერთი პოლიტიკური მკვლელობა განახორციელეს, 140-ზე მეტი ახალგაზრდა ჩახოცეს, სრულიად აბსურდული მოტივაციით, სადისტურად აწამებდნენ პატიმრებს და ამას ჰქონდა სისტემური დანაშაულის სახე, რაც ჩვენ ვამხილეთ. ახლა ეს ხალხი გამოდის და დემოკრატიაზე ლაპარაკობს. მერე თუ ვინმე წესიერ კაცს ნერვებმა უმტყუნა და ეს უზნეობა ვერ აიტანა, კრიმინალად გამოაცხადებენ. არც სირცხვილის განცდა აქვთ და არ სინანულის, მაგრამ ეს ყველაფერი ხელისუფლების ბრალია. ხელისუფლების, რომელმაც არ შეასრულა მისი მთავარი დაპირება, არ აღადგინა სამართალი და დამნაშავეები არ დასაჯა. ჩემთვის ძალადობა მიუღებელი და დაუშვებელია, მაგრამ ჭაიბერაშვილმაც, წიკლაურმაც და ლადარიამაც უნდა გააცნობიერონ, რატომ უხარიათ ადამიანებს მათი ცემა-ტყეპა, რატომ არ სწყდებათ გული და არის საპირისპირო რეაქცია? კაცმა ისე როგორ უნდა იცხოვრო, რომ შენთვის ავტობუსის დაჯახება ხალხს გაუხარდეს?

**— „მაიდანი" პირველმა თქვენ დააანონსეთ. გარდაბანში რომ დაპირისპირება დაიწყო, აზერბაიჯანელებსა და სვანებს შორის, „ნაცების" პროვოცირებულიაო, ამბობენ, ეთნიკური შუღლი რომ გაჩაღდესო. ეს „მაიდანის" გეგმის ნაწილი ხომ არ არის?**

– არ მაქვს ზუსტი ინფორმაცია. ზოგადად, „ნაცისტების" გეგმის ნაწილი ყველა ტიპის დესტრუქციაა, დაწყებული ცემა-ტყეპით, გაგრძელებული ეკონომიკური დივერსიებით.

**— თქვენ ასევე თქვით, რომ მიშამ უკრაინაში „ზონდერები" გადასამზადებლად წაიყვანა. დაბრუნდა ეს ხალხი? ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?**

– სააკაშვილმა ჯერ საკუთარი ქვეყანა დაანგრია, ახლა უკრაინას ანგრევს. დედამიწის ზურგზე არ მეგულება რუსეთის უფრო დიდი და ერთგული აგენტი, ვიდრე სააკაშვილია. ახლა სააკაშვილი დაკავებულია უკრაინის გახლეჩით. მას სულ ფეხზე ჰკიდია უკრაინელი ხალხის ტკივილი და თვითონ უკრაინაც. მალე რუსეთი აღმოსავლეთ უკრაინასაც შეიერთებს და ბატონი მიშა კმაყოფილი დარჩება, იმედია. „ზონდერები" დაბრუნდნენ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ის ვიცი, რომ „ნაცისტები" სულ მალე სამუდამოდ დაასრულებენ მათ პოლიტიკურ კარიერას. დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, დაიწყება სამართლიანობის აღდგენის პროცესი და ჩაი და ლიმონი მოგონილი იქნება.

»» **ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დოდო გუგეშაშვილი თენგიზ კიტოვანზე გაბრაზებულია



დოდო გუგეშაშვილი საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის განცხადებას გამოეხმაურა, რომლითაც კიტოვანი საქართველოს მთავრობას „ბიჭებისთვის" იარაღის ტარები უფლების მინიჭებას ითხოვს.

ყოფილი მხედრიონელი დოდო გუგეშაშვილი ფიქრობს, რომ თენგიზ კიტოვანი რუსეთის ინტერესებს ატარებს.

„თენგიზაზე გავბრაზდი. ეს შეიძლება რუსეთმა გამოიყენოს თუნდაც იმისთვის, რომ თქვას: აი, ეს ხალხი შეაიარაღა თენგიზ კიტოვანმა, ეს ხალხი არსებობს სადღაც და ვთქვათ აი, რაღაც მოძრაობას იწყებენ", – აცხადებს დოდო გუგეშაშვილი.

თენგიზ კიტოვანი, რომელიც წლებია მოსკოვში ცხოვრობს და 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა, ე.წ. „ბიჭებისთვის" იარაღის დარიგებას ითხოვს.

„ერთი კვირის წინ ვიყავი კახეთში, ბიჭები ისხდნენ ჩემთან ერთად, ცოტა მოძველბიჭოები. გაგვაჩერა პოლიციამ, გაგვჩხრიკეს. სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს. რას ეძებდნენ, არ ვიცი. ვუთხარი, კიტოვანს ჩხრეკავთ-თქო? მერე ერთ-ერთი გაიყვანეს და ჩუმად უთხრეს, წამალი შენს თავზე აიღეო. ჩვენ დავადგენთ, საიდან მოდის ეს ნარკოტიკები და დავიჭერთ კიდეც მაგ ხალხს... მე სწორედ, იმიტომ ვიყავი ჩასული, რომ დამედგინა, საიდან შემოდის ნარკოტიკები... არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ უნდა მივმართოთ პრეზიდენტს, რათა რამდენიმე კაცს ჩვენი ორგანიზაციიდან მისცეს იარაღის ტარების უფლება. ჩვენ ამ ოპერაციას რომ ჩავატარებთ, იარაღიც საჭირო იქნება", – აცხადებს თენგიზ კიტოვანი. (ნიუპოსტი)

## „„ისე წარვმართეთ პოლიტიკა, აფხაზები საქართველოს თემით ვეღარ სპეკულირებენ"



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხთა სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, პირველად ხდება, რომ შიდა აფხაზურ კონფლიქტში აფხაზებს საქართველოს თემით სპეკულირების საშუალება არ აქვთ. მინისტრი მიიჩნევს, რომ ეს ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგია.

„პირველად შიდა აფხაზურ კონფლიქტში, აფხაზები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ საქართველოს ვერ იყენებენ. ეს მნიშვნელოვანია. ისე მოვახერხეთ ჩვენი პოლიტიკის წარმართვა, რომ აფხაზებს საშუალებას არ ვაძლევთ, საქართველოს თემით ისპეკულირონ. ჩვენ არც ერთ მხარეს არ ვიჭერთ, არც ერთი პოლიტიკური ძალის, რომელიც იქ დღეს დაპირისპირებულია. ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანის უკან ვდგავართ", – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა და დასძინა, რომ უკვე მკაფიოდ გამოჩნდა საოკუპაციო ძალის ჩართულობა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრემიერი ორ დღეში გერმანიაში ბრუნდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გერმანიაში ვიზიტი შეაჯამა. მან მნიშვნელოვანი უწოდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრას და აღნიშნა, რომ მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის აღდგენასა და განმტკიცებაზე ისაუბრეს, რაც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, შეწყვეტილი იყო.

პრემიერის განმარტებით, ის უახლოეს დღეებში გერმანიას კვლავ ოფიციალური ვიზიტით ეწვევა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია ბიზნესფორუმის გამართვა და გერმანულ მხარეს შესაძლებლობა მიეცემა, დეტალურად გაეცნოს ინფორმაციას საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის შესახებ. „გუშინ სამი ქვეყნის პრემიერ-მინისტრები ქალბატონ მერკელს შევხვდით. ჩვენ ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ, ძალიან საინტერესო საკითხები განვიხილეთ, მინდა შეგახსენოთ, რომ 2 ივნისს ოფიციალური ვიზიტით გერმანიაში კვლავ დავბრუნდები და გაფართოებული ფორმატით გავმართავთ შეხვედრას. ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ გერმანიის სურვილია ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობების გაღრმავება. სამწუხაროდ, მანამდე ჩვენს ურთიერთობებში გარკვეული ვაკუუმი არსებობდა. ჩვენ გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და პირადად ქალბატონი მერკელის მხრიდან ძალიან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. (კვირა)

## პოლიციის დღეს ბათუმში აღნიშნავენ



ოფიციალური საზეიმო ღონისძიება ბათუმის ბულვარში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება. მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, საქართველოს მთავრობის წევრები, პარლამენტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და პარტნიორი ქვეყნებიდან ოფიციალური დელეგაციები დაესწრებიან.

პრემიერ-მინისტრი სამართალდამცველებს სიტყვით მიმართავს და პროფესიულ დღეს მიულოცავს. შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე მოქმედ პოლიციელებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერანებს პირადად დააჯილდოებს.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი სტუმრებთან ერთად საგამოფენო სივრცეს დაათვალიერებენ, სადაც შსს-ს დანაყოფები თავიანთ ავტოპარკს, ტექნიკას, იარაღსა და აღჭურვილობას წარმოადგენენ.

ბათუმის ბულვარში სანახაობრივი წარმოდგენები გაიმართება. საღამო ბენდ „ნიუტონის" კონცერტით დასრულდება. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ნინო ბურჯანაძე: უცხოელი დამკვირვებლები წინასაარჩევნო პროცესებით შეშფოთებულები არიან



კოალიცია „ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიციის" ლიდერი ნინო ბურჯანაძე, კოალიციის თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე და სიის პირველი ნომერი ზაზა ვეკუა ევროსაბჭოს დელეგაციას შეხვდნენ.

„ჩვენ სტუმრები ჩავაყენეთ საქმის კურსში იმ აშკარა დარღვევებთან დაკავშირებით, რომელსაც უკვე ადგილი აქვს წინასაარჩევნო გარემოს პერიოდში, იმ უთანასწორო გარემოსთან დაკავშირებით, იმ წარმოუდგენლად გაბერილ სიებთან დაკავშირებით, რომელიც არის. სასაცილოდ არავის ჰყოფნის სამ მილიონ-ნახევარი ამომრჩეველი საქართველოში. ვთქვით ისიც, რომ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ დაინახა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე იგებს თბილისში არჩევნებს, სიების განულებაზე მუშაობა დაიწყო და პრაქტიკულად რამდენიმე ათასი ხმა უკვე დაგვაკარგვინა ორ რაიონში, მაგრამ ჩვენ არ დავუშვებთ ამ პროცესის გაგრძელებას. ძალიან შეშფოთებულები უყურებენ ამ პროცესს უცხოელი დამკვირვებლები და წარმომადგენლები. ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობა საქმის კურსში ჩავაყენეთ, ჩვენ დავიცავთ ჩვენს ყველა ხმას. ამჯერად „ქართულ ოცნებას" აღარ გაუვა „ნაციონალურ მოძრაობასთან" კოჰაბიტაციაში ხმების გადანაწილება და ჩვენი მესამე ადგილზე გადაგდება, იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით ძალიან ბევრი ადამიანი გვიჭერს მხარს", – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. (რეპორტიორი)

# გირაოთი განთავისუფლებულ დათა ახალაიას საბერძნეთის სასამართლოში ქართველი ბიზნესმენი უჩივლებს

საბერძნეთის რესპუბლიკის პატრას სააპელაციო სასამართლომ 29 მაისს კუდ-ის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას განთავისუფლების გადაწყვეტილება 100 000 ევროს გირაოს გადახდის სანაცვლოდ მიიღო და პატიმრობიდან მას შემდეგ განთავისუფლდება, როცა მისი ოჯახის წევრები თანხას გადაიხდიან.

რაც შეეხება ახალაიას ექსტრადირებას, ეს ორ თვეში გაირკვევა. თუკი საქართველოს პროკურატურა ისე იმუშავებს, როგორც ეს დავით კეზერაშვილის საქმეზე მოხდა, საბერძნეთის სასამართლო ახალაიას პოლიტიკურ თავშესაფარსაც მისცემს და გიორგი ბადაშვილის უწყებას ჯალათი ახალაიას საქართველოსთვის გადმოცემის ნაცვლად სამი თითის კომბინაციასაც აჩვენებს.

ახალაიების რძალი, ანი ნადარეიშვილის ამბობს, უძრავ ქონებასაც ჩავდებთ და დათას გირაოს თანხას მაინც გადავიხდითო.

„ალია" კომენტარისთვის დათა ახალაიას ადვოკატს, ირაკლი ზაქარეიშვილს დაუკავშირდა: „ამ თემაზე პრესკონფერენციას გავმართავ და იქ გიპასუხებთ ყველა შეკითხვაზე. ჯერ არ მაქვს დეტალური ინფორმაცია, რა იქნება და როგორ. გიდასტურებთ, რომ დათა ახალაია პატიმრობიდან განთავისუფლებულია".

„ალია" ჯერ კიდევ დათა ახალაიას დაპატიმრების დროს წერდა, რომ კუდ-ის ყოფილ უფროსს შიშები დასჩემდა და ბერძენ სამართალდამცავებს ემუდარებოდა, ციხეში ნუ გადამიყვანთ, იქ მომკლავენო. ათი დღე პოლიციის განყოფილებაში უდარაჯეს, მაგრამ ბოლოს მაინც ციხეში გადაიყვანეს. დათა ახალაიას, რომ ეშინია საბერძნეთში მყოფი ქართველების, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სასამართლო პროცესზე გადაყვანის დროს მას ჯავშანჟილეტს აცმევდნენ.

ინფორმაცია დათა ახალაიას განთავისუფლებაზე პირველად ანი ნადარეიშვილმა გაახმოვანა სოციალური ქსელით.

ნადარეიშვილს „ფეისბუკში" მივწერე (მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა):

**— ანი, ჩაწერა მინდა დათას საქმეზე და როდისთვის დაგირეკო?**

– თქვენ კარგს მაინც არაფერს დაწერთ, მიუხედავად იმისა, რომ „სისხლისმსმელი" ახალაია საბერძნეთმაც კი გაათავისუფლა. ასე რომ, კომენტარს არ გავაკეთებ, რაც გნებავთ, ის დაწერეთ.

**— აქამდე რამე გითქვამს და გადაგვიკეთებია? რასაც ამბობთ, იმას ვწერთ. სხვა რესპონდენტების ნათქვამს კი თქვენს განწყობას ნამდვილად ვერ მოვარგებ.**

– რაც თქვენს გაზეთში ჩვენს ოჯახზე სიბინძურეები იწერება, ერთიც მიამატეთ. რაც გინდათ, ის დაწერეთ, ამით ჩვენ მაინც არაფერი დაგვაკლდება.

**— დათა ახალაია რატომ დაჰყავდათ სასამართლოს სხდომაზე ჯავშანჟილეტით, ემუქრება ვინმე?**

– არა. წესია იქ ეგეთი, ასეთ „ვიპ" ადამიანებზე. არავინ ემუქრება და აგერ საბერძნეთში იქნება გარეთ და ფეხები არავინ მოსჭამოს. ბოდიში გამოთქმისთვის.




ასე დაასრულა ნადარეიშვილმა ჩვენთან საუბარი. რაც შეეხება ჯავშანჟილეტს, მას იმ ადამიანებს აცმევენ, ვის მიმართაც არსებობს მოსალოდნელი საფრთხის მაღალი ალბათობა, თავდასხმის, ლიკვიდაციის მცდელობის და ა.შ.

რას აპირებს პროკურატურა და წარუდგენს თუ არა ის მტკიცებულებებს ბერძნულ სასამართლოს, რათა დაარწმუნოს ისინი დათა ახალაიას საქართველოში ექსტრადირების აუცილებლობაში? კომენტარისთვის პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თემურ დოლიძეს დავუკავშირდით. „ახლა დასავლეთ საქართველოდან მოვდივარ და აქედან კომენტარს ვერ გავაკეთებ. დაიდება განცხადება და იქ ნახავთ ყველაფერს". მთავარი პროკურატურის ვებგვერდზე საღამოს რვა საათზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: „სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატრას პროკურატურას დაევალა საქართველოს კომპეტენტური ორგანოებიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ საბერძნეთის მხარის დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შესაბამისი დოკუმენტის მიღების შემდეგ. ამასთანავე, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დავით ახალაიას მიმართ გამოყენებული საექსტრადიციო პატიმრობის გირაოთი შეცვლის შესახებ. გირაოს თანხად განისაზღვრა 100 000 ევრო. გარდა ამისა, დავით ახალაიას აეკრძალა საბერძნეთის რესპუბლიკის ტერიტორიის დატოვება და დაეკისრა ვალდებულება, კვირაში ერთხელ გამოცხადდეს შესაბამის პოლიციის ორგანოში, სანამ საბერძნეთის სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას დავით ახალაიას ექსტრადიციის შესახებ. გვსურს აღვნიშნოთ, რომ დავით ახალაიას საქართველოში ექსტრადიციის შესახებ გადაწყვეტილება საბერძნეთის რესპუბლიკის პატრას სააპელაციო სასამართლოს არ მიუღია. საქართველოს მთავარი პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ექსტრადიციის საკითხის განხილვა გაგრძელდება საბერძნეთის მხარისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ".

განცხადებაში არაფერია ნათქვამი, ვინ იქნება ქართული მხარის წარმომადგენელი პატრას სააპელაციო სასამართლოში, როცა დათა ახალაიას საქართველოში ექსტრადირების საკითხი განიხილება. „ალიასთვის" ცნობილი გახდა, რომ პროკურატურაში დიდი ქაოსია და ადეიშვილის კადრები რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელ წესიერ

*გაგრძელება მე-8 გვ.*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ეთერში არარსებული გადაცემებისთვის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელფასები გასცა



გასულ წელს „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა", ხელფასებზე დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით, 4 723 032 ლარზე მეტი თანხა გასცა. ხელფასები გაიცა საეთერო ბადეში არარსებული გადაცემებისთვის.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" შიდა აუდიტის 2013 წლის ანგარიშის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2013 წლისთვის ხელფასების ნაწილში დამტკიცდა 10 000 000 ლარი. უწყისების მიხედვით, 2013 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, გაცემულია 14 723 032 ლარი, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტზე 4 723 032 ლარით მეტი. ამასთანავე, შიდა აუდიტის ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს 2013 წლის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების გარეშე მოხდა.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2013 წლის სახელფასო უწყისების შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ იანვრიდან დეკემბრამდე საეთერო ბადეში არარსებული გადაცემების ჯგუფების ხელფასებია გაცემული. არარსებულ გადაცემებზე, რომლებიც ეთერში არ გასულა, მარტო ხელფასების სახით გახარჯულია 285 766.52 ლარი.

გარდა ამისა, პროდიუსინგის სამსახურის ხარჯი ბიუჯეტით 2 005 000 ლარი იყო, შიდა აუდიტის დასკვნით კი, 2013 წლის განმავლობაში გაიხარჯა 3 628 744 ლარი, რაც დამტკიცებულ ბიუჯეტზე 1 623 744 ლარით მეტია.

პარლამენტში წარდგენილ 2013 წლის ანგარიშს ასევე თან ერთვის „საზოგადოებრივი მაუწყებლის" შიდა აუდიტის სამსახურის შუალედური ანგარიშიც, სადაც ნათქვამია, რომ ხელფასების ნაწილში დამტკიცებულია 10 000 000 ლარი. უწყისების მიხედვით კი, 2013 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით გაცემულია 13 567 281 ლარი, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტზე 3 567 281 ლარით მეტი. შიდა აუდიტის შუალედურ დასკვნაშიც მითითებულია არარსებულ გადაცემებზე გაცემული ხელფასების შესახებ.

პარლამენტში წარდგენილ დოკუმენტებს შორისაა „საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს იმდროინდელი ხელმძღვანელის, ემზარ გოგუაძის განცხადება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო უფროსისა და მთავარი პროკურორის სახელზე. ემზარ გოგუაძე „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მმართველ გუნდს უჩივის და „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური რესურსის არამიზნობრივ ხარჯვაზე საუბრობს. კერძოდ, განცხადებაში ნათქვამია, რომ ფულადი რესურსი ხელფასის სახით გაიცა იმ პირებისთვის იმ მომსახურებაზე, რომელიც არ განხორციელებულა. გოგუაძე განცხადებაში შიდა აუდიტის მონაცემებს ეყრდნობა და გამოძიების დაწყებას ითხოვს.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2013 წლის ანგარიში პარლამენტში აპრილის ბოლოს შევიდა, თუმცა მასზე მსჯელობა დეპუტატებს ჯერ არ დაუწყიათ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოს პარლამენტის მომავალი წლის ბიუჯეტი არ გაიზრდება



როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა,

საზოგადოებაში ბიუჯეტის მომავალი წლის პარამეტრებმა გარკვეული ვენაბათაღელვა გამოიწვია, ამიტომ ურავლესობის გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტი იგივე რჩება, რაც 2014 წელს არის.

„უმრავლესობის პოზიცია ასეთია, რომ მომავალი წლის პარამეტრები არ გაიზარდოს. რაც შეეხება გარკვეულ მუხლობრივ ცვლილებებს, ამ საკითხს შემდგომში დავუბრუნდებით, როცა პარლამენტი მუშაობას შეუდგება. ამიტომ პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პარამეტრები 2014 წლის იდენტური იქნება", – განაცხადა უსუფაშვილმა.

16 მაისს, პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე განიხილა დადგენილება „საქართველოს პარლამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმადაც პარლამენტის ბიუჯეტი 2015 წლისთვის 54 მილიონ 695 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც წლევანდელთან შედარებით, 2 მილიონ 604 ათასს ლარზე მეტია. გაზრდილი თანხით პარლამენტმა შრომითი ანაზღაურების გაზრდა და ავტოპარკის განახლება დაგეგმა. 16 მაისს კი კვორუმის პრობლემის გამო, დადგენილების პროექტს კენჭი არ ეყარა. (ინტერპრესნიუსი)

მეშვიდე გვერდიდან

პროკურორს მოქმედების საშუალებას არ აძლევენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პროკურატურაში წმენდა დაიწყება. ახალაიას მორიგ სასამართლო სხდომამდე კი ეს ვერ მოესწრება, რაც ტოვებს იმის მაღალ



ალბათობას, რომ საქართველოს პროკურატურა ისევ ისე ჩაფლავდება, როგორც კეზერაშვილის პროცესზე, როცა ქართული მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე ფრანგი პროკურორები სიცილით მოკვდნენ.

მოკლედ, კუდ-ის ყოფილი უფროსი რამდენიმე თვე საბერძნეთს ვერ დატოვებს და შეიძლება მას იქ სხვა სასამართლო პროცესზე მოუწიოს სიარული. „ალია“ წერდა, რომ დათა ახალაიას წინააღმდეგ მეორე საქმე აღიძვრება საბერძნეთის სასამართლოში. მას სიცოცხლის მოსპობის ბრალდებით უჩივის ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი, რომელსაც არ სურს ვინაობის გამხელა, ვინაიდან ჯერ საქმეს მსვლელობა არ მისცემია. როგორც კი ახალაიას წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის განხილვა დაიწყება, „ალია“ დაასახელებს ამ ადამიანის ვინაობას,



**„პროკურატურაში დიდი ქაოსია და ადეიშვილის კადრები რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელ წესიერ პროკურორს მოქმედების საშუალებას არ აძლევენ“**

რომლის თქმითაც, დათა ახალაიას ორგანიზებით კუდ-ის ყოფილმა თანამშრომლებმა ტერაქტი მოუწყვეს, მხოლოდ იმის გამო, რომ როლანდიჩს სურდა, შერჩენოდა ბიზნესმენისთვის წართმეული 1 მილიონ შვიდასი ათასი ლარი.

შეგახსენებთ: დათა ახალაიას ქართულმა სასამართლომ პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა სანდრო გირგვლიანის საქმეზე. პროკურატურა მას სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლის დარღვევას ედავება და ბრალს სდებს წამების ორგანიზებაში, რომელიც ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და შეკვეთით, ჯგუფის მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ორგანიზებაში, ძალადობითა და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში. მოგვიანებით კი ახალაიას ბრალი დაუმძიმდა ადამიანების მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის მუხლით. შემთხვევა, სანდრო გირგვლიანის მსგავსად, ოქროყანის ტყეში მოხდა.

**„თქვენ კარგს მაინც არაფერს დაწერთ, მიუხედავად იმისა, რომ „სისხლისსმსმელი“ ახალაია საბერძნეთმაც კი გაათავისუფლა. ასე რომ, კომენტარს არ გავაკეთებ, რაც გნებავთ, ის დაწერეთ“**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## მანჩო გიორგობიანი: თუ დაუცველი ვიქნები, დანაშაულს აუცილებლად ჩავიდენ!



თბილისის მერობის კანდიდატ ნიკა მელიასა და გასულ წელს რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარი ინციდენტის კიდევ ერთ მონაწილეს – ბესო გაზდელიანს მანჩო გიორგობიანი „გაქრობით“ ემუქრება. მისი განცხადებით, გამოძიების გაჭიანურების შემთხვევაში, მელიასა და გაზდელიანს პირადად გაუსწორდება.

„ერთი წელიწადი ვეძებ გაზდელიანს და ვერსად ვიპოვე. აუცილებლად შევიტან პოლიციაში განცხადებას და საქმის თავიდან გამოძიებას მოვითხოვ. მერე ნუ გაგიკვირდებათ ჩემი საქციელი: როგორც კი იმედი გადამეწურება, რომ ამ სახელმწიფოში მე ვინმე დამიცავს, მერე მოიკითხეთ, სად გაქრებიან მელია და გაზდელიანი! ვინმეს თუ ჰგონია, რომ ციხეში ჩაჯდომა შემეშინდება, ძალიან ცდება. თუ ვიქნები დაუცველი, აუცილებლად ჩავიდენ დანაშაულს!“ – აღნიშნა გიორგობიანმა. (ნიუპოსტი)

## „ხაჯიმბა რუსეთის აგენტია და ეს ქართულმა სპეცსამსახურებმა იციან“



თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება.

„ცნობისთვის, ანქვაბი მოიაზრება უფრო „პროაფხაზურ“ ფიგურად, ხოლო ხაჯიმბა არის რუსეთის ჩვეულებრივი აგენტი. ამ ინფორმაციას ფლობს საქართველოს სპეცსამსახურები და ვთვლი, უნდა იცოდეს ქართველმა საზოგადოებამაც.

იქნება ეს ანქვაბი, ხაჯიმბა თუ სხვა ვინმე, მინდა გავაფრთხილო და მათთან ერთად რუსეთის ფედერაცია, რომ, თუ შეეცდებიან აფხაზეთში ყირიმის სცენარის გამეორებას, ძალიან ძვირი დაუჯდებათ, უნდა იცოდეს ყველამ, რომ ასეთ ქმედებაზე პასუხი არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ვინ არის ხელისუფლებაში და ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებას.

რუსეთის მიერ აფხაზეთში ყირიმის სცენარის გამეორება გამოიწვევს რუსეთის ჩაფლობას უდიდეს ჭაობში და სეპარატისტებისთვის შეიძლება საერთოდ გამანადგურებელი აღმოჩნდეს“, – წერს ახალაია „ფეისბუკზე“. (ნიუპოსტი)

## არჩევნების შემდეგ თვითმმართველობის ყველა მოხელე ატესტაციას დაექვემდებარება



„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილების მიხედვით, 15 ივნისის, არჩევნების შემდეგ, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები დროებით მოვალეობის შემსრულებლად აღარ ჩაითვლებიან. ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა მოხელე ატესტაციას დაექვემდებარება – იმ მოხელეთა ჩამონათვალიდან, რომლებიც ატესტაციას არ ექვემდებარებიან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დანიშნული მოხელეები ამოიღეს.

ინიციატივა დეპუტატებს – გიორგი ჟორჟოლიანსა და ვახტანგ ხმალაძეს ეკუთვნით. აღნიშნულ ცვლილებას მხარი პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „პირად ცხოვრებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის ბალანსის პოვნა მნიშვნელოვანია“



საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, ძალიან მნიშვნელოვანია ბალანსის პოვნა ადამიანის პირად ცხოვრებასა და ეროვნულ უსაფრთხოებას შორის.

„ადრეც აღმინიშნავს და ახლაც გავიმეორებ, რომ საქართველომ აღსანიშნავ პროგრესს მიაღწია ამ მხრივ, რაც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ნამდვილად გამორჩეული შემთხვევაა. ეს ეხება უკანონო დაკვირვების მასალებთან გამკლავებას. პარლამენტი ახლა მუშაობს იმაზე, რომ მომავლისთვის მიდგომები შეიმუშაოს ამ მხრივ“, – განაცხადა ელჩმა.

მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ხმა იყოს მოსმენილი და ჩართული.

„ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საქართველო კვლავ იქნება მაგალითი ქვეყანა ამ მხრივაც“, – აღნიშნა ნორლანდმა. (ინტერპრესნიუსი)



## სანდრო ბრეგაძე დავით დარახველიძის მოადგილედ დაინიშნა

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

პრემიერ-მინისტრის შესაბამისი ბრძანება მთავრობის ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა.

სანდრო ბრეგაძე მინისტრის მოადგილის პოსტზე უფლებამოსილების განხორციელებას მიმდინარე წლის 1 ივნისიდან შეუდგება.

ბრეგაძის გარდა, დავით დარახველიძეს კიდევ ოთხი მოადგილე ჰყავს. (ინტერპრესნიუსი)

## აზერბაიჯანი ქართული წარმოების სამხედრო ტექნიკის შეძენით დაინტერესდა



აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის, ზაკირ ჰასანოვის განცხადებით, აზერბაიჯანი დაინტერესებულია „დელტას“ წარმოებით. მისი ვიზიტის განმავლობაში დაგეგმილია სამხედრო ტექნიკის აზერბაიჯანული დელეგაციისთვის გაცნობა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი საქართველოში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფება. აზერბაიჯანელ კოლეგას, გენერალ-პოლკოვნიკ ზაკირ ჰასანოვს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მასპინძლობს.

ზაკირ ჰასანოვმა გმირთა მოედანზე საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. გენერალი ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისსაც“ ეწვია.

აზერბაიჯანის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი ქართველ კოლეგასთან ერთად ბათუმში გაემგზავრება და პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 30 მაისს დასრულდება. (ინტერპრესნიუსი)

# რა კავშირი აქვთ ვლადიმერ სურკოვსა და ლევან ვასაძეს?

**რატომ ცდილობენ „ჟულიკები“ პოლიტიკური კარტის აჭრას? რეალურად, ვინ არის ჩოხოსანი ლევან ვასაძე — სამეფო კარის რაინდი თუ ეროვნულ თემებს ამოფარებული ხელმოცარული მოთამაშე? არის თუ არა დიდი პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე ვასაძე „მეფის“ ხელში პაიკი, რომელსაც დიდი მოთამაშე მართავს?**

## ლევან ვასაძის პოლიტიკური ანატომია



ლევან ვასაძეს სააკაშვილის დამანგრეველი რეჟიმის წინააღმდეგ თავქუდმოგლეჯილს არ უბრძოლია, არც ქვა მოხვედრია თავში და არც ცოცხი, სწორედ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, 2009 წელს ბრუნდება ის საქართველოში, ხდება შპს „ბაგრატიონი 1882“-ისა და შპს „სამოსელი პირველის“ დამფუძნებელი და დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე, მანამდე ის მოღვაწეობდა მოსკოვში. მის ბიოგრაფიაში იყო დაუზუსტებელი დეტალი, თითქოს, საქართველოს მოქალაქეობა რუსეთის მოქალაქეობაში გაცვალა, თუმცა ვასაძემ უკანასკნელ პერიოდში ეს ფაქტი უარყო. ერთი კია, მისი გამდიდრება უკავშირდება მოსკოვს, ამაზე ქვემოთ, ახლა კი ერთი რამ: 2012 წლის არჩევნების შემდეგ, მედიაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ვასაძეს პრეზიდენტობის სურვილი ჰქონდა. პოლიტიკაში მოსვლის ამბიცია მას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უფრო გაუმძაფრდა და ორაზროვანი განცხადებების გაკეთებას შეუდგა: „არასოდეს მნდომებია პრეზიდენტობა და არც პოლიტიკური ამბიციები მქონია, მაგრამ, მეორე მხრივ, მჯერა ერის

– ლევან ვასაძე არის ძველი სოროსელი, ის გახლავთ შევარდნაძის ფონდის ხელმძღვანელი 90-იან წლებში. როდესაც მე „მხედრიონს“ ვებრძოდი და იარაღის ტარების აკრძალვის კანონს ვილებდი პარლამენტში, ლევან ვასაძე დღე და ღამე იჯდა ჯაბა იოსელიანთან. ეს არის მსახურების“. მოდი ახლა და არკვიე, ამ კაცმა რა ქვეტექსტი ჩადო ნათქვამში!

თუკი მისი პოლიტიკური განცხადებების დინამიკიდან გამოვალთ, ლევან ვასაძე მარტო არ არის და ის უფრო შორს მიდის, ვიდრე წარმოგვიდგენია, კულუარებში ჩნდება ინფორმაციები, რომ ანტიდისკრიმინაციულ კანონთან მებრძოლი ლევან ვასაძე, პოლიტიკაში მოდის, ის მოითხოვს პარლამენტის დათხოვნასა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას. საინტერესოა, როგორ შეხვდება მას ქართული პოლიტიკა?

**მახსენდება „ლეიბორისტ“ შალვა ნათელაშვილის „ალიასთან“ ინტერვიუ:**

**— ბოლო დროს საუბარია, რომ ვასაძე პოლიტიკაში აქტიურად ჩაერთვება, რას ფიქრობთ მასზე?**

ჩვეულებრივი „ჟულიკი“ ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც იშოვა ფული, მოუშვა წვერი, გადაიწია თმები, ჩაიცვა ჩოხა, დადის ეკლესიაში და ცდილობს, რაღაც ნიშა დაიჭიროს. მე არ ვიცი ვასაძის ზრახვები, მაგრამ ფაქტია, ჰომოსექსუალისტების წინააღმდეგ მიტინგზე რომ გამოჩნდა, არასწორად აარჩია მოედანი. ამსტერდამის ღამის ბარებში რომ გრიალებს, იქ რატომ არ ებრძვის ჰომოსექსუალისტებს?! ისეთი გაკვირვებული სახით იდგა რუსთაველზე, თითქოს პირველად ნახა ჰომოსექსუალისტები.



## მითში გაცვლილი რეალობა

დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე, კონკრეტული ძალები რატომღაც კარტის აჭრას ცდილობენ, ასეთად კულუარებში სახელდება სწორედ ვასაძე, რომელიც საინტერესო ბმაშია რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწესთან, ვლადისლავ სურკოვთან.

ახლა კი ვნახოთ, ვინ არის ვლადისლავ სურკოვი, ადამიანი, რომელსაც „კრემლის რუხ კარდინალს“ უწოდებენ? სურკოვი, იგივე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### თბილისელების უმრავლესობა ლუის ნავაროს კვლევებს არ ენდობა

არასამთავრობო ორგანიზაციამ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ თბილისის მასშტაბით სატელეფონო გამოკითხვა ჩაატარა თემაზე – რამდენად ენდობა მოსახლეობა საქართველოში **NDI**-ს წარმომადგენლის, ლუის ნავაროს მიერ ჩატარებულ კვლევებს. სატელეფონო ინტერვიუს ფორმით 707 სრულწლოვანი მოქალაქე გამოიკითხა.

„გამოკითხვა ჩატარდა 9-11 მაისს, მას შემდეგ, რაც ლუის ნავარომ უკანასკნელი კვლევის შედეგები გაასაჯაროვა. დაისვა მხოლოდ 1 შეკითხვა, რომელიც ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: გთხოვთ მითხრათ, ენდობით თუ არა ლუის ნავაროს, **NDI**-ს მიერ ჩატარებულ კვლევებს? შედეგების მიხედვით 58,2% არ ენდობა, 17,8% ენდობა, ხოლო 24%-ს არ სმენია შედეგების შესახებ“, – განაცხადა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ მაღალდაძემ.

მისი თქმით, კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გამოიკვეთა – რესპონდენტთა ასაკის მატებასთან ერთად ნდობის პროცენტული მაჩვენებელი იკლებს.

საპენსიო ასაკის რესპოდენტებში ნდობა 8,8%-მდე ეცემა.

„აშკარაა, რომ ლუის ნავაროს მიერ ჩატარებული კვლევები საზოგადოებაში მაღალი უნდობლობით სარგებლობს“, – განაცხადა ნიკოლოზ მაღალდაძემ. (პირველი)

### უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაცია 7 ივნისს გაიმართება



დეპუტატ იური სტეცის ინფორმაციით, ახლად არჩეული პრეზიდენტის, პეტრე პოროშენკოს ინაუგურაცია 7 ივნისს გაიმართება. ინფორმაციას პოროშენკოს შტაბის ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ირინა ფრიზიც ადასტურებს.

უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ბიულეტენების ასი პროცენტი დათვლილია. პოროშენკოს მხარი ამომრჩეველთა 54,7%-მა დაუჭირა, იულია ტიმოშენკოს კი – 12,81%-მა.

ოლეგ ლიაშკომ ხმათა 8,32% მიიღო, ანატოლი გრიცენკომ – 5,48%, სერგეი ტიგიპკომ – 5,23%, მიხეილ დობკინმა – 3,03%, ვადიმ რაბინოვიჩმა კი – 2,25%. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### შსს-ს შემადგენლობაში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ერთიანი სისტემა ყალიბდება



ყველა დონის, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი დაქვემდებარებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფები შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში ერთიანდება.

სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისთვის მთავრობა რეფორმის გატარებას იწყებს, რომელიც 2014-2015 წლებზეა გაწერილი. ეს ყველაფერი განსაზღვრულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ სრულიად ახალ კანონპროექტში, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომზადა.

პროექტით საგანგებო სიტუაციების მართვის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფები, რომლებიც სადღეისოდ შედიან შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, გუბერნატორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაქვემდებარებაში, კანონის ამოქმედების შემდეგ, ლიკვიდაციას დაექვემდებარება. ამ მიზნით აღნიშნულმა ორგანოებმა შესაბამისი სალიკვიდაციო კომისიები უნდა შექმნან. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ახალ სამსახურს – შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს გადაეცემა.

„მოცემული სისტემის შესწავლა-ანალიზმა აჩვენა, რომ ქვეყანაში გამართულად ვერ მუშაობს საგანგებო სიტუაციებისგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სისტემები, მოშლილია და საერთოდ არ არსებობს სამოქალაქო თავდაცვის ინსტიტუტები. აღნიშნულ სფეროში მოქმედი კანონები კი მხოლოდ ფრაგმენტულად არეგულირებს ხანძრებითა და სხვა საგანგებო სიტუაციებით გამოწვეულ ცალკეულ ექსტრემალურ სიტუაციებს და კომპლექსურად ვერ წყვეტს მათი პრევენციისა და რეაგირების ღონისძიებებს. არსებული სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება სამოქალაქო უსაფრთხოების სამსახურების შემდგომი მოდერნიზება, განვითარება და რეაგირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება“, – განმარტავს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტის თანდართულ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დღეისთვის, სახანძრო-სამაშველო დანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურეთა შრომითი ანაზღაურება და სოციალური დაცვა ძალიან მძიმე პირობებშია, ასევე, მოუგვარებელია პირადი შემადგენლობის პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები, რის გამოც დანაყოფებში პროფესიული კადრების უკმარისობა შეიმჩნევა. (ინტერპრესნიუსი)

### სამართალდამცველებმა დაჭრაში ეჭვმიტანილი დააკავეს



შსს-ს თანამშრომლებმა, 1967 წელს დაბადებული გივი ა. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, ყიფშიძის ქუჩაზე, ეჭვიანობის ნიადაგზე, 1972 წელს დაბადებულ ზურაბ ლ-ს ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის მძიმეა.

სამართალდამცველებმა გივი ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში თბილისში, გლდანის ხევის დასახლებაში დააკავეს. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. (ნიუპოსტი)

*მეცხრე გვერდიდან*

ასლამბეკ დუდაევი დაიბადა ჩეჩენო-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფელ დუბა-იურტში სკოლის მასწავლებლების, ანდარბეკ დუდაევისა და ზოია სურკოვას ოჯახში. 5 წლის ასლამბეკი დედას რიაზანში მიჰყავს და იქ უცვლის სახელსა და გვარს. საიდუმლოთია დაფარული სურკოვის სამხედრო სამსახურში ყოფნის წლები. ოფიციალური ვერსიით იგი, 1983-85 წლებში უნგრეთში მსახურობდა საარტილერიო ნაწილში, მაგრამ 2006 წელს გადაცემა „ვესტი ნედელი“-ში გაჟღერდა, რომ ვლადისლავ სურკოვი სახელმწიფო სადაზვერვო სამმართველოს (ეგრეთწოდებული „გრუ“) სპეცდანიშნულების რაზმში გადიოდა სამსახურს.

1987 წელს ვლადისლავ სურკოვი იყო ხოდორკოვსკის პირადი მცველი და ასე დაიწყო სურკოვის თავბრუდამხვევი კარიერა. 2004 წელს ვლადისლავ სურკოვი გახდა პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე და პრეზიდენტ პუტინის თანაშემწე, 2013 წელს მას ურთიერთობები დაეძაბა პუტინთან და გადადგა მთავრობის აპარატის ხელმძღვანელის პოსტიდან, თუმცა სურკოვმა თავისი მფარველების დახმარებით მოახერხა კრემლში დაბრუნება და მას ჩააბარეს პრეზიდენტის მრჩევლის პოსტი ეროვნებათშორის საკითხებში.

სურკოვი ახლა ცდილობს, აღიდგინოს გავლენა პუტინის კარზე და გაათამაშოს საქართველოს კარტი. სურკოვი, ვასაძის ფაქტორის გამოყენებით, იქმნის იმიჯს, რომ მას საქართველოს შიდა პოლიტიკაზე გავლენების მოხდენა შეუძლია, რითაც თავის თავს კვლავ ფასს დაადებს რუსეთის პრეზიდენტის წინაშე. რატომ განიხილავს სურკოვი საქართველოში თავის მთავარ მოკავშირედ მის მეგობარსა და ბიზნესპარტნიორს ლევან ვასაძეს? სანდო წყაროს ინფორმაციით, სურკოვისა და ლევან ვასაძის ინტერესები გადაიკვეთა, ორივე ფინანსურად გაკოტრებულია, ვასაძეს სერიოზული ფინანსური პრობლემები შექმნია, სურკოვის მეშვეობით, ახლა ის ცდილობს, ქულები დაიწეროს რუსეთის



ხელისუფლებასთან და მიიღოს გარკვეული ბიზნესდივიდენდები. ლევან ვასაძე, ამ მხრივ, სურკოვის პირად ორჯონიკიძედ გვევლინება, გაკოტრების პირას მისული ლევან ვასაძე, სურკოვისგან ელოდება, რომ საქართველოში გაწეული საქმიანობის სანაცვლოდ მისცემენ ადგილს დიდ ბიზნესჯგუფში და ამით გამოისწორებს ფინანსურ მდგომარეობას, ამიტომაც ძალიან უცნაურად დაემთხვა დროში ვასაძის გააქტიურება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ის მგრძნობიარე თემებით მანიპულირებს და ეს ბადებს ეჭვს, რომ რუსეთთან ქულების დაწერის მიზნით ხელს შეუშლის საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. მას არაერთი მცდელობა ჰქონდა, რომ საზოგადოებაში ქაოსი და გაუგებრობა შემოეტანა. პირველი თემა ეს იყო სამართლიანობის აღდგენაზე მისგან გაუგებარი განცხადებები, თუმცა მან საზოგადოება რატომღაც ვერ აიყოლია. ალბათ, ვასაძეს არ აღმოაჩნდა საჭირო მუხტი, ქარიზმა და პოლიტიკური ლიდერისთვის დამახასიათებელი შარმი. ვასაძის შემდგომი მცდელობა იყო ანტიდისკრიმინაციულ კანონი და უკვე რელიგიურ გრძნობებზე თამაში, რაც კიდევ ერთი მცდელობაა ქართველ საზოგადოებაში დესტაბილიზაციის შეტანისა.

სანდო წყაროს ინფორმაციით, ამ თემების უკან დგას სურკოვი, რომელიც თვითშემოქმედებაზეა გადასული, როგორმე პუტინის კარზე ნდობა აღიდგინოს. საქართველოს კარტის გათამაშებით რამდენად ჩაიწერს ქულებს პუტინთან, ეს კიდევ საკითხავია. და აი, რატომ, ექსპერტები აცხადებენ, რომ სურკოვისა და ვასაძის ალიანსი პირდაპირ ეწინააღმდეგება კარასინის განცხადებას, რომ რუსეთის ხელისუფლებას არ აქვს განზრახვა, ხელი შეუშალოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას, რაც ევროკომისარმა ჟოზე მანუელ ბაროზომ რამდენიმე დღის წინ ღიად განაცხადა, პუტინი დაგვპირდა, რომ საქართველოს ამ გზაზე ხელს არ შეუშლისო...

და მაინც, ძალიან საინტერესოა, რას ემსახურება ორი გაკოტრებული პოლიტიკოსის, სურკოვისა და ვასაძის გეგმა?

**ექსპერტი სოსო ცინცაძე „ალიასთან“ საუბარში აცხადებს:**

– ლევან ვასაძის ადგილს ქართულ პოლიტიკაში ვერ ვხედავ და ის ვერ შემოვა ამ ველზე, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშე, რადგან მასში პოლიტიკურ რესურსს ვერ ვხედავ, ჩვენ არ ვიცით ვინ დგას მის გვერდით, ერთი რამ ცნობილია, რომ ის მოღვაწეობდა რუსეთში.

**— საუბარია, რომ ვასაძე არის სურკოვის პროექტი, ვასაძის დახმარებით სურკოვი ცდილობს, პუტინს დაუმტკიცოს, რომ მას გავლენების მოხდენა შეუძლია საქართველოზე.**

– სურკოვი პუტინის კარზე ნდობით აღარ სარგებლობს და ის აღარაა წამყვანი იდეოლოგი კრემლში, მას ჩაბარებული აქვს პოსტსაბჭოთა სივრცე, აფხაზეთი, ოსეთი, ყირიმი. ჩვეულებრივი მოვლენაა გავლენების აღდგენისთვის ბრძოლა, ამიტომაც სურკოვი, დიახაც რომ, შეეცდება ამ კარტის გათამაშებას, თუმცა ვფიქრობ, ვერაფერს მიაღწევს, სურკოვს ახლა აქვს დრო, გამოიყენოს ვასაძის ფაქტორი და ანტი-ევროპული განწყობის გაძლიერებით შექმნას განწყობა, რომ მას შეუძლია, მართოს საქართველოს შიდა პოლიტიკა. თუ რუსეთს აქვს გადაწყვეტილი ამ კუთხით გააქტიურება, არ გამოვრიცხავ, რომ ეროვნული ჩოხის ქვეშ, რუსული „პაგონები“ იმალებოდეს, გასაკვირი არაა, რომ ვასაძე ამ გეგმის ნაწილიც იყოს.

ახლა კი მნიშვნელოვანი დეტალი: სტატიის დასაწყისში, ლევან ვასაძის მოსკოვური ბიზნესი ვახსენეთ, საინტერესო ისაა, რომ ვასაძეს კავშირები ჰქონდა გავლენიან რუს ოლიგარქებთან, რომლებმაც, სავარაუდოდ, ის სურკოვთან კავშირზე გაიყვანეს, როგორც კრემლის გავლენიან პირთან. ის იყო რუსეთში კომპანია „ატონას“ ხელმძღვანელის, სერგეი ევტუშენკოს თანაშემწე. ევტუშენკო გახლავთ მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას ახლო მეგობარი. მამუკა არეშიძე იხსენებს, რომ ევტუშენკო სწორედ ალასანიას ჰყავდა საქართველოში ჩამოყვანილი და მას საქართველოში ბიზნესინტერესებიც ჰქონდაო. ვასაძე ასევე ახლოსაა მოსკოვის ყოფილ მერთან, ლუჟკოვთან და გავლენიან ავტორიტეტ გარი ლუჩანსკისთან, ეს უკანასკნელი კი ასლან აბაშიძის ახლო მეგობარია. ანტიქართულად განწყობილ პიროვნებებთან ვასაძის ახლო ურთიერთობებზე კი ბევრი რამ მეტყველებს.

და კიდევ, ალბათ, იცით, რომ სურკოვს შეეხო ყირიმის ანექსიის დროს ამერიკის, ევროკავშირისა და კანადის მიერ შემოღებული სანქციები, მას აკრძალული აქვს შესვლა აშშ-სა და ევროკავშირში, დაყადაღებული აქვს აქტივები აშშ-სა და ევროკავშირში.

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სისხლიანი სპექტაკლი დადგეს პოლიტიკის სცენაზე და შემზარავ ფინალსაც უნიჭოდ გაითამაშებენ!“



ცნობილი რეჟისორი რობერტ სტურუა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების ზურაბ ჭიაბერაშვილისა და ნოდარ ლადარიას ცემის ფაქტს გამოეხმაურა.

„ესსე ქართველებზე: ასე მგონია, რომ ქართველი კაცის ხასიათს კარგად ვიცნობ (ბოლოს და ბოლოს, თავად ქართველი არ ვარ?!). ალბათ, ამიტომ გაოცებული შევცქერი ქართველებს, პოლიტიკიდან ასე სამარცხვინოდ რომ მოისროლეს! იმის ნაცვლად, რომ სირცხვილისგან მიიმალონ: იქნებ დროზე ადრე მიეცეს დავიწყებას მათი სახელები... იქნებ გადაურჩენ შურისძიებას... მით უმეტეს ფულიც ბლომად დაუგროვდათ. გაჩერდი, რა! დამშვიდდი, გაყუჩდი! სახეზე მაინც აიკარი დამნაშავის ნიღაბი (ვითომ სინდისმა შეგაწუხა). არა, უტიფრად იბრძვის! – დაკარგული სავარძლის დაბრუნება სურს. ბულტერიერივით ჩაგვაფრინდა და ისტერიულად გაიძახის შავზე – თეთრიაო. ნუთუ, მუტაცია მოგვერია ქართველებს – ნამდვილი ქართველი ხომ მიაფურთხებდა პოლიტიკას და დროსტარებას, ქალებსა და მოგზაურობას მიაფშვნიდა მოპარულ ფულებს... მივხვდი! მივხვდი! ევრიკა! ამ სულელებმა პოლიტიკაში ატარეს დრო, „ჯერ ტკბილი ვჭამოთო!“ ღორობის ტრაგედია, ფროიდისტული დრამა... თუ ფარსი? ამ ქართველებისთვის უჩვეულო თვისებებზე მიგვითითებს ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის დაღუპვაზე ოცნებობენ. აი, ვის სწყურია შურისძიება, აი, ვინ ადგენს წმ.ბართლომეს ღამის გეგმასა და სიებს. რა სიამოვნებით მიგვახვრეტდნენ იმ ლამაზ სტილში, სწორედ ისე, 26 მაისის ალიონზე რომ გაანადგურეს ხალხი. თურმე ნუ იტყვი, ვიღაც ნაძირალა შემოელახათ ბიჭებს?! უნიჭო, სისხლიანი სპექტაკლი დადგეს პოლიტიკის სცენაზე და შემზარავ ფინალსაც უნიჭოდ გაითამაშებენ!“, – წერს სტურუა. (რეპორტიორი)

## ახალმა მოსამართლეებმა ფიცი დადეს



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ცნობით, მოსამართლეების კანდიდატები იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ფარული კენჭისყრით აირჩია.

საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სასამართლოებში მოსამართლეებად ლაშა თავართქილაძე, მანანა მესხიშვილი, თეა ლეონიძე, ნინო ბუაჩიძე, შოთა ბიჭია, მანუჩარ ცაცუა, სოფიო გაგნიძე, ლევან დარბაიძე, ნანა კალანდაძე და თეიმურაზ ქათამაძე დაინიშნენ.

მოსამართლეები თანამდებობაზე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნენ. ისინი უფლებამოსილებას ფიცის დადების შემდეგ განახორციელებენ. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სპორტული ფესტივალი „საქართველო 2014“ იხსნება

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში სამოყვარულო სპორტული ფესტივალის „საქართველო 2014“-სადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართება.

„ფესტივალი მიზნად ისახავს საქართველოში სამოყვარულო სპორტის განვითარებასა და მასობრიობის ზრდას. ამ პროექტის მეშვეობით, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფართო მასების, მოყვარული სპორტსმენების ჩართულობა, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მის პოპულარიზაციას. ფესტივალს საქართველოს ყველა რეგიონი უმასპინძლებს, სადაც ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის შემდეგ სახეობებში: მინიფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სამოყვარულო ხელბურთი. ფესტივალის ფარგლებში გასამართი ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც წელს მესამედ იმართება, აღმოსავლეთ და დასავლეთ ლიგების პრინციპით, წრიული სისტემით ჩატარდება. აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონების 8-8 გუნდიდან, საუკეთესო ოთხეულები პლეიოფში გააგრძელებენ ასპარეზობას. საუკეთესო ოთხი გუნდი კი ოთხთა ფინალში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ფესტივალის ფინალურ ეტაპზე ჩატარდება“, – განმარტავენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, მაგიდის ჩოგბურთსა და სამოყვარულო ხელბურთში ლოკალური შეჯიბრებების შედეგად გამოვლინდებიან რეგიონების საუკეთესო მოყვარული სპორტსმენები.

ფესტივალი ოფიციალურად 31 მაისს, გლდანში მდებარე ჯ. ცერცვაძის სახელობის ხელბურთის აკადემიაში გაიხსნება, სადაც დასავლეთ და აღმოსავლეთ ლიგებში მონაწილე მინიფეხბურთის გუნდები პირველი ტურის შეხვედრებს გამართავენ.

ღონისძიება ოთხ თვეს გასტანს. ფინალური ეტაპი 26-28 სექტემბერს, საქართველოს საზღვაო საკურორტო ზონაში გაიმართება.

ფესტივალი სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით და ეროვნული ფედერაცია „სპორტი ყველასთვის“ ორგანიზებით გაიმართება. ღონისძიების პარტნიორები არიან, საქართველოს ხელბურთისა და ჩერლიდინგის ფედერაციები. (ინტერპრესნიუსი)

## RMG Gold-მა საყდრისში სამუშაოები შეაჩერა

როგორც კომპანია **RMG Gold**-ში აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს საყდრისის წიაღისეულის ათვისების სრული საკანონმდებლო უფლება, კომპანია თავს იკავებს სრულმასშტაბიანი სამუშაოების განხორციელებისგან მონიტორინგის გეგმის საბოლოოდ დადგენამდე.

„როგორც ცნობილია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწვეული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები, რომლებმაც ადგილზე სიტუაციის გაცნობის შემდეგ სააგენტოს წარუდგინეს შუალედური რეკომენდაციები, საყდრისის საბადოს ათვისების სამუშაოების მონიტორინგთან დაკავშირებით. იმედი გვაქვს, რომ უახლოეს დროში სააგენტო მიიღებს საბოლოო რეკომენდაციებს, რომელთა საფუძველზე დადგინდება კომპანიის მიერ საყდრისის საბადოს ათვისების სამუშაოების მონიტორინგის მიმართულებები, პარამეტრები და შედგება მონიტორინგის გეგმა, რომლის საფუძველზეც შემდგომში განხორციელდება სამუშაოების არქეოლოგიური ზედამხედველობა და მონიტორინგი სააგენტოსა და კომპანიას შორის კოორდინაციის პირობებში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მსოფლიოში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას დღეისთვის აქვს საყდრისის წიაღისეული რესურსების ათვისების სრული საკანონმდებლო უფლება, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე ჩვენ თავს ვიკავებთ სრულმასშტაბიანი სამუშაოების განხორციელებისგან მონიტორინგის გეგმის საბოლოოდ დადგენამდე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კომპანია მზად არის ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესთან კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის“, – აღნიშნულია კომპანიის განცხადებაში. (ნიუპოსტი)



# „სამართლიანობის აღდგენა“ სერვანტესის, ვოლტერის, ვაჟას წიგნების ფონზე

ორი წელი გასულა მას მერე, რაც მე და „წითელი ზონის“ ჩემი ახალგაზრდა მეგობრები სამეგრელოში წავედით და გადაცემა მოვამზადეთ. თითქოს ყველაფერი ვიცოდი „მხედრიონის“ შესახებ, მაგრამ სამეგრელოს პატარა სოფლის მცხოვრებლებთან ხანმოკლე გასაუბრებამაც კი, მგონი, თვისებრივად გადაატრიალა ჩემი ცხოვრება. ამდენი სასოწარკვეთილი, უიმედო ხალხი ერთად არ მინახავს. გვიყვებოდნენ რაღაცებს, ტიროდნენ და ასე ამთავრებდნენ „ჩვენ არ გვჯერა უკვე, რომ სამართლიანობა ოდესმე აღდგება“. წინა საღამოს მაია ასათიანის შოუში დოდო გუგეშაშვილი იხილეს – მღეროდა ქალბატონი დოდო და ესენი ქვითინებდნენ. ეგ გადაცემა, როგორც გვითხრეს, უკანასკნელი ილუზიის მსხვრევა იყო, მანამდე კიდევ სჯეროდათ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ოდესმე დასჯიდა დამნაშავეებს.

ორი წელი გასულა. რამდენი რამე მოხდა ამასობაში: ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები წააგო, მოვიდა „ქართული ოცნება“. მოვიდა დაპირებით, რომ სამართლიანობას აღადგენდა. 2012 წლის სექტემბერში, ფილარმონიასთან რომ გავედით, ბასილ კობახიძეს რომ ვუყურებდი, როგორ შლიდა პლაკატს „სისტემა უნდა დაინგრეს“, მჯეროდა, რომ „სისტემაში“ იგულისხმებოდა არა მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის მიერ შექმნილი სისტემა – აგებული იდეაზე „იმარჯვებს მხოლოდ ძლიერი“ და „სუსტისთვის და დავრდომილისთვის ადგილი არა გვაქვს“, იდეაზე „ეს მათი არჩევანია, გენაცვალე“ და „ბაზარი ყველაფერს დაარეგულირებს“, არამედ ზოგადად, ძალადობის, ზიზღის და უკანონობის სისტემა. ამიტომაც იყო ჩემთვის სიმბოლური ის პლაკატი, რომელიც არა „ოცნების“ რომელიმე აქტივისტს, არა ნაცმოძრაობაზე პირადად განაწყენებულ პოლიტიკოსს, არამედ ძალადობის სისტემისგან დევნილ ბასილ კობახიძეს ეჭირა ხელში.

მოვიდა ახალი ხელისუფლება. და მოვიდა ნამდვილი „ჰორორებით“, რომელთაც ჯერ მაშინდელი გენერალური პროკურორი გვიყვებოდა, მერე ხელისუფლების წარმომადგენლები... გვიყვებოდნენ საზარელ მკვლელობებზე, ძალადობაზე, „ცოცხებზე“. ამ ამბებიდან რაღაც მართალი იყო, რაღაც, შესაძლებელია, მოგონილი. გვიყვებოდნენ და გვპირდებოდნენ, რომ გამოძიებები დასრულდება და დამნაშავეები დაისჯებიან. ის კი არა, ტელეკომპანია „მაესტროს“ რაღაც სკანდალური ფილმი აქვს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე და არჩევნების დასრულებისთანავე იხილავთ ეთერშიო.

ამ „ჰორორებმა“, ცხადია, კიდევ უფრო გააძლიერა იმ ადამიანების აგრესია, ვისაც „ნაცმოძრაობის“ მმართველობის ეპოქაში ბიზნესსართმევდნენ, ვისაც მიკროფონებსა და კამერებს უმონტაჟებდნენ, აშინებდნენ... ის ხალხიც აღეგზნო, „მედიის ხალხი“, ვისაც ურეკავდნენ და უბრძანებდნენ, რა უნდა გაეშვათ და რა არა ეთერში. „ოცნებამ“, მაინც იმედი მაქვს, რომ გაუაზრებლად, უბრალოდ, „ნაცმოძრაობის“ მიმართ განსაკუთრებული ზიზღის გამო, როგორც იტყვიან, „დაქოქა“ ქართველი საზოგადოება. თუმცა იმდენი პროფესიონალიზმი არ ეყო, რომ დაესრულებინა საქმეების გამოძიება და პირობა შეესრულებინა – აღედგინა სამართლიანობა. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ თავისი უნიათობა და არაპროფესიონალიზმი ისევ „ნაცების სასამართლოს“ დააბრალა.

მაგრამ „ოცნება“ იქით იყოს. ბევრნი არიან, განსხვავებულები არიან და რთულია ამ ხალხის შეფასება. ახლა მაინცდამაინც არც მაინტერესებს, მართალი რომ გითხრათ. მე ისევ ორი წლის წინათ გადაღებულ გადაცემაზე ვფიქრობ და იმ ხალხზე, ვისაც „ჰორორებითაც“ კი არავინ ელაპარაკება. მეტიც, დოდო გუგეშაშვილი მღეროდა მაინც თავისთვის. ახლა კი მრისხანე მოქანდაკე, თენგიზ კიტოვანი გამოგვეცხადა თავისი ბიჭებით და ხელისუფლებას, არც მეტი, არც ნაკლები, იარაღი მოსთხოვა თავად ამ ხელისუფლების (პარლამენტის) დასარბევად.

ამაზე საქართველოს ხელისუფლება კომენტარს, თუ რამე არ გამომრჩა, არ აკეთებს. მას უფრო აღელვებს კახა ბენდუქიძის დანიშვნა უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლად. არ აკეთებს, რადგან „მხედრიონიზმი“ საქართველოში ისევ ბობოქრობს. ის ძლიერია. მას არავინ ერჩის. „მხედრიონიზმი“, როგორც ღონე და იარაღი, როგორც „მოქანდაკე“, „თეატრმცოდნე“, „კინორეჟისორი“, „პოეტი“, რომელსაც შერჩა დანაშაული საკუთარი ქვეყნისა და კაცობრიობის წინაშე – დაგვაკარგვინა ტერიტორიები, დაშალა ქვეყანა, გადაამტერა ხალხი და დღემდე დაგვტოვა გამოუძიებელი „ჰორორების“ ამარა – გაბრაზებულები, აგრესიულები, დაუკმაყოფილებლები ზიზღით, უცოდინრები და არაპროფესიონალები ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში.

ის, რაც მოხდა ლიტერატურულ კაფეში 27 მაისს, მრავალმხრივაა სიმბოლური. ძალადობა წიგნების ფონზე, ძალადობა სერვანტესის, ვოლტერის, ვაჟას წიგნების ფონზე! ძალადობა, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აყოლებს ამ ჯადოსნურ სიტყვას „მაგრამ“... ხომ გახსოვთ? „ძალადობას ვგმობთ, მაგრამ დემოკრატია ლობიოობა ხომ არ გგონიათ?“, „ძალადობას ვგმობთ, მაგრამ ამ ხალხის აგრესიას როგორ შევაჩერებთ?“...

საქართველოში კიდევ კარგა ხანი არ გასამართლდება „მხედრიონიზმი“ და არ აღდგება სამართლიანობა. ეს მოხდება მაშინ, როცა ყოველი ჩვენგანი გაიხსენებს, რას აკეთებდა იმ დროს, როცა ამ გამართლებით – „მაგრამ“ ქვეყანაში სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ხოცავდნენ. არ მოხდა ეს სააკაშვილის მმართველობის დროს, რადგან მაშინ „ნაცმოძრაობას“ თავისივე გუნდის წევრებისთვის უნდა მოეთხოვა პასუხი. არ მოხდება დღეს, რადგან ყოფილი „მხედრიონელები“, მათი ახლობლები, „მწერლები“, „კინორეჟისორები“, „მხატვრები“ ხელისუფლებაში გვყავს, არ მოხდება იმიტომ, რომ „მხედრიონიზმით“ გაიჟღინთა ცხოვრების ყველა სფერო, – პარლამენტით დაწყებული ეკლესიამდე.

ამიტომ ნუ გიკვირთ ილიას უნივერსიტეტის პროფესორს რომ საგანგებოდ ადუღებულ ჩაის ასხამენ სახეში „მომხედრიონო ხელოვანები“. ჩაი კი არა, აგერ ქალებს ხოცავენ თითქმის ყოველდღე, რადგან ადამიანის სიცოცხლე და ღირსება ისევ არაფრად ფასობს ამ ქვეყანაში.

ბასილ კობახიძე კი საქართველოდან წავიდა. აქ მისი ადგილი არაა. არც მისი და არც იმ პლაკატის: „სისტემა უნდა დაინგრეს!“

**გიორგი გვახარია**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## რუსეთის პრეზიდენტი აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერს არ დაკავშირებია

„რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა, სერგეი პესკოვმა განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი ალექსანდრე ანქვაბს ამ დრომდე არ დაკავშირება.

„ვლადიმერ პუტინს აფხაზეთის პრეზიდენტთან ალექსანდრე ანქვაბთან არც ტელეფონით და არც პირადად არ უსაუბრია“, – განაცხადა პესკოვმა.

რუსეთის ოფიციალური პირებიდან აფხაზეთში იმყოფება მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე ვლადისლავ სურკოვი, რომელიც დე ფაქტო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შუამავლის როლს ასრულებს. (ნიუპოსტი)

## ლაგოდეხში 19 წლის ბიჭმა თავი მოიკლა




ლაგოდეხის რაიონში, სოფელ შრომაში, გარდაცვლილი ახალგაზრდა საკუთარ ნაკვეთში იპოვეს. გავრცელებული ინფორმაციით, ახალგაზრდის თვითმკვლელობის სავარაუდო მიზეზი ოჯახური მდგომარეობა გახდა.

ფაქტზე გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „სკაიპს“ ონლაინ თარჯიმნის ფუნქცია დაემატა




კორპორაცია **Microsoft**-მა „სკაიპის“ ბაზაზე საუბრის ონლაინ-რეჟიმში თარგმნის ფუნქცია შეიმუშავა. ფუნქციას „სკაიპ თარჯიმნის“ სახელწოდება მიენიჭა და ის მომხმარებლისთვის **OC Windows 8** ბეტა-ვერსიის მეშვეობით უკვე 2014 წლის ბოლოს იქნება ხელმისაწვდომი.

პრეზენტაციაზე კომპანიის გენერალურმა დირექტორმა სკაიპის ხელმძღვანელს გერმანულ ენაზე მიმართა, „სკაიპმა“ კი საუბარი ონლაინრეჟიმში ინგლისურ ენაზე თარგმნა.

ამ დროისთვის სკაიპ-თარჯიმანი 40-მდე ენას მოიცავს. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გიორგი მარგველაშვილი ირანში მიიწვიეს



საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, საქართველოში ირანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, აბას თალებიფარის შეხვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცნობით, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობა განიხილეს. გამოითქვა სურვილი, რომ გაღრმავდეს თანამშრომლობა ეკონომიკური და პოლიტიკური მიმართულებით. მათ ყურადღება რეგიონში საქართველოს გეოეკონომიკურ როლზე გაამახვილეს და უსაფრთხოების საკითხებზეც ისაუბრეს.

აბას თალებიფარმა ირანის პრეზიდენტის სახელით, გიორგი მარგველაშვილი ირანში ოფიციალური ვიზიტით მიიწვია და ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის განსაკუთრებული მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით. (რეპორტიორი)

## ზურაბ ყიფშიძე მხარს „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ კანდიდატს უჭერს



„არასაპარლამენტო ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კუკავა და საარჩევნო ბლოკის საბურთალოს მაჟორიტარი კანდიდატი ლევან გვარჯალაძე ხილიანზე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ. კანდიდატის მხარდასაჭერად იმყოფებოდა საქართველოს სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ზურაბ ყიფშიძე, რომელმაც მოსახლეობას სიტყვით მიმართა და მათ კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. (რეპორტიორი)

# რა მოხდა გარდაბანში — „ნაცმოძრაობის“ პროვოკაცია თუ ეთნიკური კონფლიქტი?






გარდაბანში „ნაციონალური მოძრაობის“, ასევე „ქართული ოცნების“ წევრებსა და აქტივისტებს შორის დაპირისპირება მოხდა. ყველაფერი ჩაის სახლში, სიტყვიერი შეურაცხყოფით დაიწყო, რის შემდეგაც მხარეები ერთმანეთს ხელკეტებით გაუსწორდნენ. თვითმხილველების თქმით, ჩხუბში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

ვითარების განმუხტვას თავდაპირველად პოლიცია ცდილობდა, მოგვიანებით კი სპეცდანიშნულების რაზმი ჩაერია.

როგორც გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, ამბაკო ავალიანმა განაცხადა, დაპირისპირების პროვოცირება „ნაციონალური მოძრაობის“ გარდაბნის ორგანიზაციის თავმჯდომარის მიერ მართულმა „ზონდერ ჯგუფმა“ მოახდინა.

„მიზეზი ერთია – აქ არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც სიტუაციას 2012 წლიდან დღემდე ურევდა აქ და დღეს ფაქტი სახეზეა, ნაწილობრივ გამოუვიდათ. ამბობენ, თითქოს „ქართულმა ოცნებამ“ აზერბაიჯანელებს შეურაცხყოფა მიაყენა, მათ აგინებდნენ და ლანძღავდნენ. ეს არის ძალიან დიდი ტყუილი, მსგავსი არაფერი ყოფილა. ჩხუბს არ შევსწრებივარ, მაგრამ მის მერე სულ ადგილზე ვიყავი და მსგავსი არაფერი ყოფილა. პროვოკაციაზე წამოაგო ამდენი ხალხი, ქართველები და აზერბაიჯანელები დააპირისპირა რამინ ბაირამოვმა, რომელიც არის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გარდაბნის რაიონში. მას ჰყავს თავისი დაჯგუფება, რომელსაც აცემინა სამი ეთნიკურად ქართველი, ამან გამოიწვია ქართველების უკმაყოფილება, რასაც მოჰყვა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რომელიც გუშინ ჩხუბში გადაიზარდა. სიტუაცია დავარეგულირეთ, მაგრამ შემდეგ ბაირამოვმა ისეთი განცხადებები გააკეთა, რომ აზერბაიჯანელების გაღიზიანება გამოიწვია და დღეს ისევ გამოვიდნენ. დაახლოებით 500 ადამიანი იყო გამოსული. დღეს ჩხუბი არ ყოფილა, მაგრამ ჩხუბის მცდელობა იყო“, – განაცხადა ავალიანმა.

გარდაბნის ცენტრში, ე.წ. ცხრიანებში, ადგილობრივებმა აქცია გამართეს. შეკრებილები აცხადებდნენ, რომ მომხდარი დაპირისპირება პოლიტიკასთან კავშირში არ არის. მათი განცხადებით, დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა, მას შემდეგ, რაც ქართველებმა აზერბაიჯანელებს დასცინეს. აქციაზე ქვემო ქართლის გუბერნატორი გიორგი მღებრიშვილი იმყოფებოდა, რომლის მოსმენაც აქციის მონაწილეებმა არ ისურვეს.

გიორგი მღებრიშვილის თქმით, პოლიცია მოწოდებულია, რომ გარდაბანში იყოს მშვიდობა. „პოლიცია მოწოდებულია და მობილიზებულია მშვიდობისთვის. ერთი ადამიანი ვერ აურევს სიტუაციას. საქმე აღძრულია, მიმდინარეობს გამოძიება და დადგინდება ყველა ის პირი, ვისაც ბრალი მიუძღვის და ვინც სიტუაციის არევას ცდილობდა. ისინი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომლებიც შერეულები იყვნენ ხალხში და ერთი სული ჰქონდათ ერთმანეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ ქართველები და აზერბაიჯანელები, რაც არ მოხდება“, – აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა. მასთან ერთად ადგილზე ჩავიდა პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სავალან მირზოევი.

აქციის მონაწილეები მომხდარში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს, რამინ ბაირამოვს ადანაშაულებენ.

„სწორედ ბაირამოვის მიერ არიან ინსპირირებული აზერბაიჯანელები, რომლებიც დადიოდნენ ხელკეტებით და ცდილობდნენ, მოეხდინათ პროვოცირება. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა, იყოს მშვიდობა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის, როგორც ეს აქამდე იყო“, – აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.

მოგვიანებით განცხადება პრემიერის მრჩეველმაც გააკეთა.

„მოსახლეობასთან მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ საქმის გამოძიება შესაბამის ორგანოებს მივანდოთ. ვიმყოფებოდი გარდაბანში, სადაც მხარის გუბერნატორთან ერთად შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას. ჩვენ მოვისმინეთ მხარეების პოზიციები, რა თქმა უნდა, იყო სიტუაციის გამწვავების მცდელობა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ სიტუაციის დასარეგულირებლად, ვინაიდან ხელისუფლების ინტერესშია სტაბილურობა და სიმშვიდე ქვეყანაში“, – განაცხადა სავალან მირზოევმა.

გარდაბანში განვითარებულ მოვლენებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ნუგზარ წიკლაური გამოეხმაურა.

„შემაშფოთებელია ის, რაც მოხდა გარდაბანში. ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა აღიარეს, რომ ეს იყო პოლიტიკური დაპირისპირება. ამ დაპირისპირებით ისინი არ ერიდებიან ეთნიკური კონფლიქტის ინსპირირებას. ეს შეიცავს ძალიან დიდ საფრთხეს ჩვენი ქვეყნისთვის და მისი სტაბილურობისთვის“, – განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.

საარჩევნო ბლოკმა „ქართული ოცნება“ გარდაბანში მომხდარი ინციდენტი „ნაციონალურ მოძრაობის“ მიერ მოწყობილ პროვოკაციად შეაფასა და განცხადება გაავრცელა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ცდილობს პოზიტიური საარჩევნო გარემო გაამწვავოს, სხვადასხვა მიზეზებით დაძაბოს სიტუაცია და გააღვივოს შუღლი მოსახლეობაში.

ამის დასტური იყო გარდაბანში „ნაციონალურ მოძრაობის“ მიერ მოწყობილი პროვოკაცია და შედეგად აქტივისტებს შორის მომხდარი დაპირისპირება, რომლის სხვა ჭრილში გადატანასა და პარტიული ინტერესებისთვის გამოყენებასაც ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“.

დღეს ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მათთვის პირადი თუ პარტიული საქმეები ქვეყანაზე მაღლა დგას და ამისთვის საკუთარი მოქალაქეების ინტერესების გაწირვასაც არ ერიდებიან.

დარწმუნებულები ვართ, სამართალდამცავი უწყებები დეტალურად შეისწავლიან მომხდარ ინციდენტს და დამნაშავეები კანონის წინაშე აგებენ პასუხს.

„ქართული ოცნება“ ერთგულია არჩევნების ჩატარების დემოკრატიული პრინციპისა და მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, გამოიჩინონ კეთილგონიერება, თავი შეიკავონ პროვოკაციული ქმედებებისგან და ხელი შეუწყონ მოქალაქეების მიერ არჩევანის მშვიდ გარემოში გაკეთებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

ინციდენტი არასამთავრობო ორგანიზაცია „რეფორმატორთა კლუბმა“ შეაფასა.

გარდაბანში ბოლო 11 წლის მანძილზე პირველად მოხდა დაპირისპირება ეთნიკურ ნიადაგზე. მოვუწოდებთ ხელისუფლებას მკაცრად და დროულად მოახდინოს რეაგირება ამ საზარელ ფაქტზე. ის, რაც გარდაბანში მოხდა, არის იმ სიძულვილის შედეგი, რომელიც ხელისუფლების უნიათობითა და წაქეზებით მძვინვარებს საქართველოში. მთავრობამ გახსნა პანდორას ყუთი და ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ძალადობა გაჩერდება „ნაცმოძრაობის“ წევრებზე ან აზერბაიჯანელებზე ან საზოგადოების სხვა კონკრეტულ სეგმენტზე. თუ ძალადობას არ გაეცემა დროული და ადეკვატური პასუხი, ის შევა ყველა ოჯახში, ისევე როგორც 90-იანი წლების დასაწყისში“, – ნათქვამია „რეფორმატორთა კლუბის“ განცხადებაში.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება ხულიგნობის მუხლით მიმდინარეობს. დაკავებული არავინ არის. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის ზოოპარკში თოკების პარკი იხსნება



„თბილისის ზოოპარკის“ ინფორმაციით, თოკების სათავგადასავლო პარკის **„Activity“** გახსნის ცერემონია 1-ელ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, 10:30 საათზეა დაგეგმილი. პირველად, დაკიდული საბაგირო მარშრუტის დაბრკოლებებს ზოოპარკის დირექტორი, ზურაბ გურიელიძე გადალახავს. იმავე დღის პირველ ნახევარში 3 ტურნირი ჩატარდება. 14:00 საათიდან კი პარკის მომსახურებით უკვე ნებისმიერი მსურველი ისარგებლებს.

**„Activity“** საქართველოში მსგავსი ტიპის პირველი ობიექტია. ეს არის მხიარული და აბსოლუტურად უსაფრთხო ატრაქციონი ნებისმიერი ასაკისა და ფიზიკური მომზადების ადამიანისთვის, იდეალური ადგილი მეგობრებთან, ოჯახთან, კოლეგებთან ერთად თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებისთვის. ხეებს შორის დამონტაჟებული წინააღმდეგობების გადალახვა ერთნაირად სახალისოა როგორც ბავშვების, ისე უფროსებისთვის. თოკების პარკი ჰაერში დაკიდული სხვადასხვაგვარი დაბრკოლებების ერთობლიობაა. ამოცანა, ერთი შეხედვით, მარტივია – მონაწილემ თავიდან ბოლომდე უნდა გაიაროს საბაგირო მარშრუტი. 1-დან 7 მეტრის სიმაღლეზე, ხეებზე დამონტაჟებული თოკების, ბადეების, ბეწვის ხიდებისა და ხის მორების კომბინაციით შექმნილი უჩვეულო ატრაქციონი სხვადასხვა სირთულის 3 მარშრუტს აერთიანებს:

**Junior** – ყველაზე მარტივი და სახალისო ტრასა ბავშვებისთვის 3 წლის ასაკიდან. განთავსებულია 1,5 მეტრის სიმაღლეზე;

**Practic** – 4-5 მეტრის სიმაღლეზე დაკიდული საშუალო სირთულის ტრასა ნებისმიერი ფიზიკური მომზადების მქონე ადამიანისთვის;

**Expert** – ყველაზე საინტერესო მარშრუტი მძაფრი შეგრძნებების მოყვარულებისთვის (სიმაღლე: 5-6 მეტრი). ეს მარშრუტი მრავალფეროვან აქტივობებს მოიცავს: მონაწილეს საცოც კედელზე გადასვლა, ტროსზე ველოსიპედით გავლა და ეკვილიბრისტიკის დაუფლება მოუწევს.

თოკების პარკში გამოიყენება მსოფლიოს წამყვანი კომპანიების მიერ წარმოებული სერტიფიცირებული ალპინისტური აღჭურვილობა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. მარშრუტები უზრუნველყოფილია საიმედო, ორბაგირიანი სადაზღვევო სისტემით. გამოცდილი ინსტრუქტორები ყველა სტუმარს უტარებენ აუცილებელ ინსტრუქტაჟს. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საჩხერეში ჩასულ ნათელაშვილს ადგილობრივები დაუპირისპირდნენ



„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი საჩხერეში წინასაარჩევნოდ მოსახლეობასთან შესახვედრად ჩავიდა. ქალაქის ცენტრში ინციდენტი მოხდა.

„საჩხერის ცენტრში, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, შალვა ნათელაშვილს დაუპირისპირდა ივანიშვილის სპეცსამსახურების მიერ წინასწარ მომზადებული პროვოკატორების ბრბო, რომლებმაც სცადეს შეხვედრის ჩაშლა, რაც არ გამოუვიდათ. შალვა ნათელაშვილმა ბოლომდე წარმოთქვა სიტყვა და საჩხერიდან დაჰპირდა მთელ საქართველოს, რომ ის დაამთავრებს ივანიშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს. პროვოკატორების საქმიანობას ორგანიზებას უწევდნენ „პიკაპის“ მარკის პოლიციის მანქანებში მობილიზებული სპეცსამსახურის თანამშრომლები. შალვა ნათელაშვილი აგრძელებს შეხვედრას იმერეთის მოსახლეობასთან. მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებას, დროულად მიიღონ ზომები საქართველოს დე ფაქტო მმართველ, მაფიოზა მილიარდერის წინააღმდეგ, რათა მან ფულითა და ძალადობით ვერ შეძლოს 15 ივნისს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მასობრივი ფალსიფიცირება“, – ნათქვამია პარტიის განცხადებაში. (პირველი)

## სად სწავლობენ საქართველოს პრეზიდენტებისა და ცნობილი ქართველების შვილები?



წელს საქართველოს ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უფროსმა ვაჟმა ედუარდ სააკაშვილმა სვარტმორის კოლეჯში პირველი კურსი წარჩინებით დახურა. ამის შესახებ ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის „ფეისბუკის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

გასულ წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ედუარდი მსოფლიოს რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში მიიღეს, მათ შორის იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში, დორტმუნდისა და უილიამსის კოლეჯში. სწავლის გაგრძელება მან სვარტმორის კოლეჯში ფიზიკის განხრით გადაწყვიტა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმაც ურჩია. თავის დროზე, ბილ კლინტონი ოქსფორდში სასწავლებლად სწორედ სვარტმორის კოლეჯის სტიპენდიების აკადემიურმა საბჭომ გაგზავნა.

ასევე, წელს უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის, გიგა ბოკერიას ვაჟმა, ლევან ბოკერიამ ნიუ-იორკში როჩესტერის უნივერსიტეტი დაამთავრა. ამის შესახებ ბოკერიას მეუღლემ, ტელეწამყვანმა თამარ ჩერგოლეიშვილმა ინფორმაცია სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– აი, ასე, დაამთავრა როჩესტერის უნივერსიტეტი და გააგრძელებს მუშაობას ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ბიოფსიქოლოგია, ნეირომეცნიერება, ფილოსოფია და ეკონომიკაც – ყოველი შემთხვევისთვის...

თავად ჩერგოლეიშვილის ქალიშვილი წლებია, საფრანგეთში ცხოვრობს. რამდენიმე თვის წინ კატო კოპალეიშვილმა სტრასბურგში ლიცეუმის მეათე კლასი დახურა.

საზღვარგარეთ სწავლობს ნანუკა ჟორჟოლიანის ქალიშვილი მარიამ გეგუჩაძეც. მარიამი ბუდაპეშტში, ამერიკულ სკოლაში სწავლობდა. მომავალი სასწავლო წლის ზაფხულიდან კი ჰარვარდში კურსებს გაივლის.

– დღეს დილით მარიამის სკოლიდან მივიღე წერილები! ვიდრე ბოლომდე ჩავიკითხე, ნერვიულობისგან მთავარი გამომრჩენია და თავიდან გადავიკითხე! მეუბნებიან, რომ გამორჩეული ბავშვია და... მერიდება დავწერო, კიდევ რას მწერენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სკოლამ ის წარადგინა **Leadership Ambassador** კურსზე! **Harvard, Johns Hopkins, Standford, George Washington University, or University of Chicago, Tulane** უნივერსიტეტებში! ვინაიდან ყველასგან მოვიდა პასუხი მიღებაზე, მისი არჩევანის დროა და ის ირჩევს ჰარვარდს! ეს ის შემთხვევაა, როდესაც კითხვა – რას ვგრძნობ? დროულია! მარიამ, ეს რა მაგარი შეგრძნება ყოფილა! – წერს ნანუკა ჟორჟოლიანი სოციალურ ქსელში.

ნიუ-იორკში იღებს განათლებას თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ვაჟი ნიკოლოზ ალასანია. ნიკა ახალი სამეცნიერო კვლევების, ტექნოლოგიისა და მათემატიკის სახელმწიფო სკოლაში სწავლობს.

სასკოლო და ნაწილობრივ უმაღლესი განათლება მოსკოვში აქვს მიღებული პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ქალიშვილს, ანა მარგველაშვილს.

– ანა რუსეთში ორი წლის განმავლობაში სწავლობდა. სკოლა იქ დაამთავრა, შემდეგ იქ ჩააბარა ინსტიტუტში და ახლა გადმოიტანა საბუთები თბილისში. რეალურად ანა თხუთმეტ წლამდე ცხოვრობდა ჩემთან, თბილისში. სკოლის ბოლო წელი გაატარა მოსკოვში, შემდეგ ერთი წელი იყო უმაღლესში და ახლა ისევ ბრუნდება ჩემთან... მენეჯმენტი უნდა შეისწავლოს", – აღნიშნა ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატმა გიორგი მარგველაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

*ambebi.ge*

## ნინი ზარქუა: მკვეთრი და თამამი ფერებით შემოსვა კარგი იქნებოდა — ქართველებს შავი ფერი ძალიან გვიყვარს



ფეხბურთელ ალექსანდრე ამისულაშვილის მეუღლე, ყოფილი მოდელი, ნინი ზარქუა თბილისში ერთ-ერთი გემოვნებიანი სტილის მატარებლად მიიჩნევა:

– თბილისში ყოველთვის ძალიან გემოვნებიანად იმოსებიან. ახლაც ასეა, არაფერი შეცვლილა ამ მხრივ. ვფიქრობ, აქ ინდივიდუალურ სტილს ირგებენ, ვის რა უხდება და მოსწონს. ვფიქრობ, ერთადერთი, რისი შეცვლაც შეიძლება ვისურვოთ, ეს ფერებია. ქართველებს ძალიან გვიყვარს შავი ფერი... მე თვითონ ძალიან მიყვარს სხვადასხვა და ნათელი ფერები. მათ ამინდისა და განწყობის მიხედვით ვარჩევ...

საქართველოს ნაკრების წევრი, ალექსანდრე ამისულაშვილი რუსეთში, სამარაში თამაშობს. ამჟამად ფეხბურთელი საქართველოშია და მეუღლესთან და შვილებთან ერთად ატარებს შვებულებას.

*reportiori.ge*

## ნუკი კოშკელიშვილი ავარიაში მოყვა — ,,სიყვარულისგან თავბრუ დამეხვა..."



ნუკი კოშკელიშვილისა და ბენ ჩეიმის სიყვარულის ამბავი სოციალური ქსელით დაიწყო. მერე კი ქართული ტელეშოუების დახმარებით მათი სიყვარულის ისტორია ისე წარიმართა, ალბათ, თვითონაც არ ელოდნენ...

– ჩემს ცხოვრებაში პირველად მოვყევი ავარიაში. აქამდე უბრალო ჯარიმაც კი არ მქონია. მთავარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. გზაჯვარედინზე სიჩქარე ვერ გავაკონტროლე და მანქანას დავარტყი. საჭესთან ქალი იჯდა, ძალიან მალევე მოვაგვარეთ ყველაფერი. თან ძირითადად ჩემი მანქანა დაზიანდა. ბენიც ამ დროს ჩემ გვერდით იყო და ძალიან განიცადა. მაწყნარებდა. მითხრა, შტერი ხარ, მაგრამ არა უშავს, ასეთი რაღაცებიც ხდებაო. შეიძლება, სიყვარულისგან თავბრუ დამეხვა და სიტუაცია ველარ გავაკონტროლე. ზოგადად, ძალიან ფრთხილი მძღოლი ვარ...

*reitingi.ge*

## რა მოხდა კიევი-თბილისის ავიარეისზე




ჟურნალისტი გურამ როგავა სოციალურ ქსელში კიევი-თბილისის ავიარეისზე მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს:

– წუხელ ქართველი ჟურნალისტები სამშობლოში კიევი-თბილისის რეისით ვბრუნდებოდით, როცა ჩვენი ერთ-ერთი კოლეგა შეუძლოდ გახდა, გონება დაკარგა და რომ არა დათო კაკულიას სწრაფი რეაქცია, ყველაფერი ტრაგედიით დასრულდებოდა. ჩვენი თხოვნით პილოტმა საგანგებო დაშვება როსტოვში განახორციელა. ყველაფრის მიუხედავად, არ ველოდით ასეთ ირონიას რუსი მესაზღვრეებისგან და განსაკუთრებით ექიმებისგან (ჰიპოკრატეს ფიცის იმედად ვიყავით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამათ პუტინის ფიცი აქვთ დადებული). დიდი ხნით ადრე იცოდნენ თვითმფრინავის დაშვების მიზეზი, მაგრამ აეროპორტში სასწრაფო დახმარება ერთი საათის დაგვიანებით მოვიდა. დაწვრილებით რუსების დამოკიდებულებაზე არ დავწერ, ისედაც ხვდებით, ალბათ, რა გამოვიარეთ. ექიმები ბორტზე ამოვიდნენ, ქართველებს რუსეთის ტერიტორიაზე შემოსვლის ნებართვა არ გაქვთო, ბევრი გაურკვევლობა იყო, მაგრამ გაგებით მოვეკიდეთ. კიდევ ერთხელ დაგვიდასტურეს, რომ ჩვენი მოძმე, ერთმორწმუნე რუსებისგან კარგს არაფერს უნდა ელოდე. მაგრამ აი, ქართველების „გმირობამ" კი მართლა გამაოცა და დამთრგუნა. თავიდან გვეგონა, რომ პაციენტს საავადმყოფოში გადაიყვანდნენ, მე და დათო უნდა გავყოლოდით, ასე გადავწყვიტეთ. რეისის უცხოელი მგზავრები ფულს გვთავაზობდნენ, რუსეთში მცხოვრები მათი ახლობლების ნომრებს გვაწერინებდნენ, დაურეკეთ და მოგხედავენო. ბორტზე ორი მგზავრი ექიმი აღმოჩნდა, რომლებმაც ჩვენს მეგობარს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვას ავადმყოფის გარდა არავის აძლევდნენ, ერთ-ერთმა უკრაინელმა მგზავრმა გვითხრა, მე გავყვებიო. ...და ამ დროს ქართველები რას აკეთებდნენ?! დროზე გადაწყვიტეთ, გვეჩქარებაო, – ყვიროდნენ ჩვენი ქართველი „ძმები". ადამიანი სიკვდილის პირას იყო და ამათ ბორტზე აჯანყება მოაწყვეს, სიგარეტი მოგვაწევინეთო. ჩვენი რეისით „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებიც მგზავრობდნენ და ერთმა „ვაჟკაცმა" გინება დაიწყო, თქვენ გამო 9 წელი საქართველოში ჩამოსვლის უფლება არ მქონდა, დღეს პირველად მივდივარ თბილისშიო, მაისური გაიხადა და ტატუებით მარიაჟობა რომ დაამთავრა, საჩხუბრად მოემზადა. ბავშვებს ხმაურის შეეშინდათ და ტირილი დაიწყეს. ჩვენთანაც ჰქონდა პრეტენზიები, „მე თქვენ გიცნობთ, თქვენ პოპულარულები ხართ, მე გლეხიო", მაგრამ მე იმის ძმა ვარო (სავარაუდოდ, ვიღაც კრიმინალური ავტორიტეტის სახელს გვეუბნებოდა). როგორც ჩანს, უკმაყოფილო იყო ჩვენი პროფესიული საქმიანობით. ადამიანი ხელში გვაკვდებოდა და ჩვენი „ძმები" პოლიტიკაზე გვეკამათებოდნენ და სიგარეტს რატომ არ გვაწევინებთო, – გამცილებლებს ეჩხუბებოდნენ. ყველა უცხოელი მგზავრი 2 საათის განმავლობაში გაუნძრევლად იჯდა თავის ადგილებზე, ქართველი „ვაჟკაცები" კი „ჩვენ გვერდით იდგნენ", გონებადაკარგულ ადამიანზე ზრუნვის მაგივრად, ცდილობდნენ, მწყობრიდან გამოვეყვანეთ და გვეჩხუბა. აი, ასეთი სოლიდარულები ვართ ქართველები! გუშინ ერთ რამეზე დავფიქრდი, ასეთ ქართველებს ქვეყანაში დაბრუნების უფლება მართლა არ უნდა მისცე, და თუ დიდი ხნის წინ ევროპაში გადაკარგულ კრიმინალებს რეინკარნაციის მცდელობა აქვთ, ესე იგი ქვეყანაში რაღაც ცუდი ხდება!!! მადლობა ღმერთს, ჩვენი კოლეგა გადარჩა, მაგრამ წუხელ ჩვენ ვერ გადავარჩინეთ „ქართველობა", ასე ხშირად რომ მოვიხსენიებთ სადღეგრძელოებში! „ჩვენს ერთად ყოფნასა და ქართველობას გაუმარჯოს" – თამადის თხოვნაა, ბოლომდე შევსვათ... – წერს გურამ როგავა პირად გვერდზე.

*reportiori.ge*

## კესარია აბრამიძის დედა თბილისში დაბადებული უკრაინელია — საოცარი მსგავსება დედა-შვილს შორის



სოციალურ ქსელში ხშირად ხდება განხილვის საგანი ლამაზმანების გარეგნობა. თუ ლამაზი ხარ, დღეს უკვე ძნელია, ვინმე დააჯერო, რომ ეს სილამაზე ბუნებრივია.

ვარსკვლავები იმის დამამტკიცებლად, რომ პლასტიკურ ოპერაციებს არ სწყალობენ, ბავშვობაში გადაღებულ ფოტოებს აქვეყნებენ.

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ კესარია აბრამიძეზე. მისი გარეგნობა ბევრ გოგონას შეშურდება. ცოტა ხნის წინ კესარიას დედის ახალგაზრდობის ფოტო გავრცელდა.

დედა-შვილის მსგავსება აშკარაა. კესარიას დედა თბილისში დაბადებული უკრაინელია. დედის ერთ-ერთი ფოტო თავად კესარიამ გამოაქვეყნა „ფეისბუკზე" და კომენტარიც გააკეთა: „ამბობენ, რომ აწყობილი ვარ, არადა დედას ძალიან ვგავარ".

*reitingi.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



მოსამართლე:

– იმედი მაქვს, იცით, რა გელით, თუ სასამართლოს ცრუ ჩვენებას მისცემთ!

მოწმე:

– დიახ, ვიცი – „მერსედესს“ დამპირდნენ...

*****

სკოლიდან დაბრუნებული კოტე დედას ეუბნება:

– დედიკო, გახსოვს, რომ მითხარი, თუ ოთხიანს მიიღებ, ეზოში მთელი დღით გაგიშვებო?

– კი, როგორ არ მახსოვს! და რა იყო?

– არაფერი, დღეს ეზოში მარტო ნახევარი დღით მომიწევს ჩასვლა...

*****

ქერა ავიაკომპანიაში რეკავს, ბილეთი უნდა რომ დაჯავშნოს.

ოპერატორი:

– რამდენი ადამიანი გაფრინდება თქვენთან ერთად?

– აბა, მე რა ჯანდაბა ვიცი? თვითმფრინავი თქვენია და...

*****

პატარა გოგონამ მამასთან მიირბინა:

– მამიკო, მამიკო, მოდი, რა წავიდეთ ამ სახლიდან?!

– რატომ შვილო, რა მოხდა?

– მოახლემ მითხრა, რომ ამ სახლში მოჩვენებები ცხოვრობენ.

მამას ფერი ეცვალა და ლაპარაკი ხმის კანკალით განაგრძო:

– ახლავე მივდივართ ამ სახლიდან, ამ წუთსვე!

– რატომ მამიკო?

– იმიტომ, რომ ჩვენ მოახლე არ გვყავს!..

*****



მკაცრი მამა ქალიშვილს ტუქსავს:

– ნინიკო, წუხელ დაგინახე, ვიღაც ახალგაზრდასთან მანქანაში სექსი გქონდა, ვინ არის, რას წარმოადგენს, რა ურთიერთობა გაქვს?!

ქალიშვილი ღრმად ჩაფიქრდა:

– და რა ფერის მანქანა იყო, გახსოვს?

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები***

## პომიდვრის მოსავლის გასაზრდელად, ფინეთში ადამიანის შარდს გამოიყენებენ



ფინელების ახალი კვლევის შედეგების თანახმად, ადამიანის შარდი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პომიდვრის მოსაყვანად. უფრო რომ დავაზუსტოთ, თურმე, მოსავლის გაზრდა 4,2-ჯერ ყოფილა შესაძლებელი.

გარდა ამისა, ფინელი სპეციალისტები იმასაც ამბობენ, რომ შარდით განოყივრებულ მიწაზე გაზრდილ პომიდორში გაცილებით დიდი რაოდენობით ბეტა-კაროტინი შედის და კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ცილები მოიპოვება, ვიდრე ტრადიციული წესით მოყვანილ პროდუქტში ვხვდებით.

რამდენადაც ცნობილია, ჯანმრთელი ადამიანის შარდი მდიდარია მკვებავი ნივთიერებებით, როგორებიცაა: აზოტი, კალიუმი და ფოსფატი და სწორედ ამ დანამატებში ყოფილა უფრო სასარგებლო პომიდვრის მიღების საიდუმლოც.

ბუნებრივია, უმრავლესობა დაიწუნებდა ასეთი წესით მოყვანილი პომიდვრის დაგემოვნებას, მაგრამ რასაც ახლა ვჭამთ, არ გვგონია, უკეთესი წესით ის იყოს მოყვანილი.

***popsci.com***

## ბავშვებს ძაღლების გაგება შეუძლიათო



ძალიან ძალიან ბრძენები არიან ბავშვები და მათ იმაზე გაცილებით მეტი ესმით და იციან, ვიდრე ეს უფროსებს გვგონია, მაგრამ ძაღლების „ლაპარაკის“ გაშიფვრაც თუ შეეძლოთ, ეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო მოულოდნელობა გახდა.

რამდენად შეიძლება ამის დაჯერება, თავად განსაჯეთ, ახალი კვლევის შედეგები კი ასეთია: ბავშვებს ძაღლების ყეფის გაგება შეუძლიათ. ამასთანავე, პატარები ცხოველების გაგებას ახერხებენ არა მხოლოდ ხანმოკლე ურთიერთობისას, არამედ მაშინაც, თუკი ძაღლთან უშუალო კონტაქტს არ ამყარებენ.

ექსპერიმენტის დახმარებით დადგინდა, რომ ექვსი თვის ბავშვებიც კი ძალიან ადვილად არკვევენ, ფოტოზე ძაღლის აგრესიულ ყეფას ხედავენ, თუ მეგობრულს.

გარდა ამისა, დადგინდა ისიც, რომ ბავშვების შესაძლებლობებში ბეთჰოვენის მუსიკაში განწყობის შეცვლის აღმოჩენაც შედის.

შესაძლოა, მაინც ძალიან აბსურდულად ჟღერდეს კავშირი ბავშვებსა და ძაღლებს შორის, მაგრამ სპეციალისტები ამბობენ, რომ სწორედ ამით ხსნიან ისინი პატარების უნარს, ძალიან მალე აითვისონ ბევრი რამ. მაგალითად, დიდი ხნით ადრე, სანამ ისინი ლაპარაკს დაიწყებენ, უკვე ცნობენ და პასუხობენ გაგონილ ხმებს.

– ემოციები – ეს პირველია, რასაც ბავშვები სოციალურ სამყაროში სწავლობენ, – განმარტავენ სპეციალისტები.

***sciencedaily.com***

## ასაფეთქებელი ნივთიერების მოძებნას... მცენარე შეძლებს?



წარმოუდგენელი და ძალიან შთამბეჭდავი სიახლის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას კოლორადოს უნივერსიტეტის სპეციალისტები, რომლებსაც თურმე, ისეთი მცენარის გამოყვანა მოუხერხებიათ, რომლის დახმარებითაც ასაფეთქებლის მოძებნაა შესაძლებელი.

როგორც ირკვევა, მცენარეს საკუთარი თავისებურებებისა და უნიკალური თვისებების წყალობით, ასაფეთქებლის მოლეკულების დაჭერა შეუძლია, რის შემდეგაც ის ფერს იცვლის. მაგალითად, მწვანე ფერი მაშინვე თეთრი ხდება, როცა მცენარე საფრთხეს გრძნობს.

აპირებენ თუ არა სპეცსამსახურები ამ უნიკალური მცენარის გამოყენებას, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა, ბუნებრივია, თუკი მას მართლაც ასეთი შესაძლებლობები აქვს, ყურადღებასაც აუცილებლად დაიმსახურებს.

***myjane.ru***

## კაზინოს გაქურდვა ლატვიურმა... სპეცრაზმმა სცადა



მხრები კი განიერი აქვთ სპეცრაზმელებს, მაგრამ აი, ჭკუა რამდენად მოეძებნებათ თავში, ცოტა რთული სათქმელია.

თურმე, ლატვიის ერთ პატარა ქალაქში პოლიციელები და სამი სპეცრაზმელი იმ დროს დააპატიმრეს, როცა ისინი კაზინოს გაქურდვას ცდილობდნენ – შეიარაღებული და ნიღბიანი პირები კაზინოში შეცვივდნენ და სტუმრებისგან და პერსონალისგან ფული მოითხოვეს.

მათდა საუბედუროდ, კაზინოს დაცვაში ძველი, უფრო გამოცდილი სპეცრაზმელები მუშაობდნენ, რომლებსაც თავდამსხმელებისთვის ყბების მინგრევა არ გასჭირვებიათ. გარდა ამისა, ბოროტმოქმედების გაუვნებელყოფაში მათ დახმარება ადგილზე დროულად მისულმა პოლიციამაც გაუწია.

სამწუხაროდ, შეხლა-შემოხლას კაზინოს დაცვის ერთი წევრი ემსხვერპლა, თუმაც ყველა თავდამსხმელი დაპატიმრებულია და მათ უმკაცრესი სასჯელი ელით.

***lenta.ru***

## იტალიაში ნადირობის ერთ სეზონს 34 მონადირე ემსხვერპლა



კაცო, თუ არ იცი ადამიანმა სროლა, დაჯექი სახლში და კომბოსტოს მწნილი ჭამე, რაღა ირმის ხორცზე იკლავ თავს ნერწყვების ყლაპვით და არა მხოლოდ ნერწყვების ყლაპვით?

ნადირობის მხოლოდ ერთ სეზონს, ანუ ოთხ თვეს, იტალიაში 34 მონადირე და ერთიც სოკოს საძებრად გასული ადამიანი შეეწირა.

რაც მთავარია, თითოეული მონადირე არა რომელიმე გარეულმა ცხოველმა, არამედ საკუთარი მეგობრის ტყვიამ გაუყენა მოუსავლეთის გზას.

გარდა ამისა, ნადირობის სეზონზე იტალიაში 74 ადამიანი დაიჭრა. მათ შორის, 61 მონადირე და 13 შემთხვევითი გამვლელი.

იტალიურ მედიაში მწარედ ხუმრობენ, რომ, რადგან ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ნადირობის სეზონი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, არ არის გამორიცხული, მსხვერპლთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამდენი ადამიანის გარდაცვალების მიზეზი ნადირობასთან დაკავშირებული ლიბერალური საკანონმდებლო ბაზაა. კერძოდ, მონადირეებს შეუძლიათ კერძო პირების ტერიტორიაზე შესვლა. სროლის უფლება აქვთ გზიდან 50, ხოლო დასახლებული პუნქტიდან 150 მეტრის მოშორებით.

***gazeta.ua***



## მსოფლიოში ყველაზე სულელური სახელი შვედეთში მოიგონეს

„ბრფხხცცხხმნპცცცცლლლმმნრხვცლმნცკსსქლბბ11116“...

გაიგეთ რამე, რა წერია აქ და რას უნდა ნიშნავდეს? ვერც ჩვენ გავერკვიეთ ვერაფერში. თუმცა თავად ამ დეგენერატული იდეის ავტორი ცოლ-ქმარიც ვერ ხსნის, საიდან მოუვიდათ თავში, რომ ახლად დაბადებული შვილისთვის აი, ეს სისულელე დაერქმიათ.

სხვათა შორის, შვედი ცოლ-ქმრის ასეთ გადაწყვეტილებას ძალიან დიდი შეშფოთება მოჰყვა არა მხოლოდ მათი ნათესავების, არამედ ხელისუფლების მხრიდანაც. მეუღლეების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელიც შევიდა და ბუნებრივია, განაჩენი წვეტიანი აზრების მქონე წყვილისთვის უსიამოვნო აღმოჩნდა – მათ ჯარიმის სახით 5 ათასი კრონი (დაახლოებით 680 აშშ დოლარი) დაეკისრათ.

– ჩვენ, უბრალოდ, ორიგინალური სახელის შერჩევა გვინდოდა, შედეგად კი ჯარიმა მივიღეთ, – განაწყენებულები დარჩნენ ცალტვინა შვედები.

ისე, კიდევ კარგად გადარჩნენ, თორემ ბავშვი რომ დაიბადებოდა, მერე ენახათ მაგათ ჯარიმა და ყველაფრის ყელში ძმრად წამოდენა.

***prochitano.ru***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
2. სათავსი საძირკველში
3. ხელოვნებათა მფარველი ადამიანი
4. ნახატებიანი თავსატეხი
5. ავტობუსის წინამორბედი
6. ბილიარდის ჯოხი
7. „... დოუელის თავი"
8. მფრინავი
9. თანამშრომლობა (პოლიტ.)
10. მდინარე ლონდონში
11. იანის საპირისპირო
12. ბურთი და ... მოედანი
13. ნიდერლანდის დედაქალაქი
14. გეომეტრიული სხეული
15. ნივთიერება თამბაქოში
16. „ჰამლეტის" პერსონაჟი
17. პატრუქიანი თოფი
18. ბურთად შეკრული ძაფი
19. მეცნიერება ვარსკვლავებზე
20. ჰიპოპოტამი
20ა. მულტფილმი „ტომი და ..."
21. შვილიშვილი
22. ძვ. ინგლის. სიგრძის ერთეული
23. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. მოთხრობა
24. პირველი სამნიშნა რიცხვი
25. კლიპმეიკერი ... ფოცხიშვილი
26. მსახიობი ქეით ...
27. სურდო
28. ზამბახი
29. ესპანეთის დედაქალაქი
30. აღორძინების ეპოქა
31. სომხური გვარის ნაწილაკი
32. მსახიობი ... დიტრიხი
33. მსახიობი ... პიტი
34. ფოთოლი კანადის დროშაზე
35. კანარის კუნძულების მთავარი კუნძული
36. ფეხბურთელი ... ანრი
37. მსახიობი ედვარდ ...
38. მევიოლინე ვანესა ...
39. შექსპირის „მეფე ..."
40. საგრაფო ინგლისში
41. ხელოვნური ტყავი
42. გეოდეზიური ხელსაწყო
43. მონღოლი დიდებული
44. დამუხტული ნაწილაკი
45. ჰომეროსის პოემა
46. იტალიური ავტომობილი
47. წამლების მაღაზია
48. კონტინენტი
49. მსახიობი ... გიბსონი
50. ურუგვაის დედაქალაქი
51. ცეცხლგამძლე კარადა
52. მსახიობი ... მონტანი
53. საგალობელი „... მარია"
54. სიმაღლის საზომი ხელსაწყო
55. სამხედრო საავადმყოფო
56. მონო, დი, ..., ტეტრა
57. სიმბოლიკა, გამოყენებული ფაშისტების მიერ
58. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
59. „ცრუ" კიდური, რომლითაც ამება გადაადგილდება
60. მომღერალი ფილიპ ...
61. მდებარეობა, რომელიც უჭირავს პლანეტას ვარსკვლავიდან დაშორებისას
62. რეჟისორი რეზო ...
63. კენიის დედაქალაქი
64. მდინარე კახეთში
65. წარწერა კადრის ქვეშ
66. გოგოლის მოთხრობა
67. პატარა მდინარე
68. მადაგასკარის დედაქალაქი
69. მსახიობი ... ტომეი
70. თერძის იარაღი
71. კონტინენტი
72. ქართ. ანბანის ბოლო ასო
73. ოთხცხენიანი ძველებური რომაული ეტლი
74. შარლ პეროს ზღაპარი
75. მხატვარი ანრი ტულუზ-...
76. მსახიობი მეგ ...
77. ადამიანი ხარის თავით
78. მოსამართლის მოსასხამი
79. 1000კგ
80. ქიმიური ელემენტი
81. ჩოგბურთის მოედანი
82. თბილისის უბანი
83. მხარმუალი ზეთი
84. მსახიობი მერილინ ...
85. მოჭადრაკე მიხეილ ...
86. ლექსის რითმა
87. მდინარე ჩინეთში
88. ცხრა ძმა ...
89. გმირის საზეიმო
90. მხატვარი ოგიუსტ ...
91. მითიური ცხენკაცი
92. ... ფონ ბისმარკი
93. ... პოპესკუ-გოპო
94. ცხენის კუდის ბალანი
95. მწკრივი სალაროსთან
96. აბელის მკვლელი
97. თაღი
98. ხალიჩა
99. მსახიობი ... ანუკ
100. ბოშათა საბჭოთა თეატრი
101. მსახიობი ... როსელინი
102. ისლანდიის დედაქალაქი
103. მერიმე, „... ფალკონე"
104. კონდახიანი მშვილდ-ისარი
105. მომღერალი ლეონიდ ...
106. ... მორჩილაძე
107. ქალაქი რუსეთში
108. შხამიანი გველი
109. ფილოსოფოსი იმანუილ ...
110. მსახიობი ... ბიტი
111. რიცხვი 3,14
112. უძველესი კოლხეთი
113. დრამა, კომედია, ...
114. [illegible]
115. მსახიობი ... სილვანა
116. მოჭრილი ხის ნაწილი
117. ნილოსის რეპტილია
118. ერთნახადი არაყი
119. „... ცოცხი კარგად გვის"
120. კუბის დედაქალაქი
121. უძველესი ხარისხის ბროლი
122. ანიკოს პირველი ქმარი ფილმიდან
123. დადუღებული ყურძნის წვენი
124. „მაუგლი" პითონი
125. მეტყველების ორგანო
126. მომღერალი ... ჯორჯი
127. ყორღანი ვოლგოგრადთან
128. მამაკაცი ძიძა
129. ძვირფასი წითელი ქვა
130. ყვავის ბარტყი
131. ფირნიში
132. ქართ. ფულის ერთეული
133. მწერალი ... ტვენი
134. ნივრების ასხმა
135. ქალაქი აფხაზეთში
136. „მე, ბებია, ილიკო და ..."
137. რეჟისორი ალფონსო ...
138. ესტონეთის დედაქალაქი
139. საუბარი
146. მსახიობი ... ჟერარ
141. გამჭოლი ქარი

პასუხები: 1. კარაბადინი; 2. სარდაფი; 3. მეცენატი; 4. რებუსი; 5. ომნიბუსი; 6. კიი; 7. პროფესორ; 8. პილოტი; 9. კოჰაბიტაცია; 10. ტემზა; 11. ინი; 12. ჰა; 13. ამსტერდამი; 14. კონუსი; 15. ნიკოტინი; 16. ოფელია; 17. არკებუზი; 18. გუნდა; 19. ასტრონომია; 20. ბეჰემოთი; 20ა. ჯერი; 21. ბადიში; 22. ფუტი; 23. „აელიტა"; 24. ასი; 25. ბასა; 26. ბლანშეტი; 27. რინიტი; 28. ირისი; 29. მადრიდი; 30. რენესანსი; 31. ტერ; 32. მარლენ; 33. ბრედ; 34. ნეკერჩხალი; 35. ტენერიფე; 36. ტიერი; 37. ნორტონი; 38. მეი; 39. ლირი; 40. კენტი; 41. დერმატინი; 42. ნიველირი; 43. ნოინი; 44. იონი; 45. „ილიადა"; 46. „ფერარი"; 47. აფთიაქი; 48. ევროპა; 49. მელ; 50. მონტევიდეო; 51. სეიფი; 52. ივ; 53. ავე; 54. ალტიმეტრი; 55. ლაზარეთი; 56. ტრი; 57. სვასტიკა; 58. ტატამი; 59. ფეხი; 60. კირკოროვი; 61. ზენიტი; 62. ესაძე; 63. ნაირობი; 64. იორი; 65. ტიტრი; 66. „ვიი"; 67. ნაკადული; 68. ანტანანარივუ; 69. მარისა; 70. მაკრატელი; 71. ამერიკა; 72. ჰაე; 73. კვადრიგა; 74. კონკია; 75. ლოტრეკი; 76. რაიანი; 77. მინოტავრი; 78. მანტია; 79. ტონა; 80. ნატრიუმი; 81. კორტი; 82. კუკია; 83. ოლიფა; 84. მონრო; 85. ტალი; 86. კაფია; 87. ხუანხე; 88. ხერხეულიძე; 89. ტრიუმფი; 90. რენუარი; 91. კენტავრი; 92. ოტო; 93. იონ; 94. ძუა; 95. რიგი; 96. კაენი; 97. არკა; 98. ნოხი; 99. ემე; 100. „რომენი"; 101. იზაბელა; 102. რეიკიავიკი; 103. მატეო; 104. არბალეტი; 105. აგუტინი; 106. აკა; 107. რიაზანი; 108. კობრა; 109. კანტი; 110. უორენ; 111. პი; 112. აია; 113. ტრაგედია; 114. დედალი; 115. მანგანო; 116. კუნძი; 117. ნიანგი; 118. რახი; 119. ახალი; 120. ჰავანა; 121. ბაკარა; 122. კია; 123. ბადაგი; 124. კაა; 125. ენა; 126. ბოი; 127. მამაი; 128. ლალა; 129. ლალი; 130. ბალახი; 131. აბრა; 132. ლარი; 133. მარკ; 134. გალა; 135. გაგრა; 136. ილარიონი; 137. არაუ; 138. ტალინი; 139. ბაასი; 140. ფილიპი; 141. ორპირი. იკითხება: ანანასი.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მურად ლატარია ოჯახით, შვილებითა და შვილიშვილებით, იუწყება

**თამაზ (კორო) პეტრეს ძე ლატარიას**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი:** 1, 2 ივნისს;
**დაკრძალვა:** 3 ივნისს, 16 საათზე;
**მისამართი:** ხობის რაიონი, ხეთა.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ბრალის წაყენება... გადამდებია?!



ალბათ, არასოდეს მიგიქცევიათ ყურადღება, რომ, როცა ვინმე რამეში ბრალს გდებთ, თავადაც გიჩნდებათ ანალოგიური ნაბიჯის გადადგმის სურვილი, ხომ? თურმე, ეს მოვლენა ძალიან ჩვეულებრივი ყოფილა, რადგან ბრალის წაყენება, როგორც, მაგალითად, გრიპი, გადამდებია!

ამერიკელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, ადამიანი, რომელიც ბრალდებების ქარ-ცეცხლში ეხვევა, თავადაც მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორმე მომჩივანს „გალმა შეედავოს“... და რატომ?

– როცა ვაკვირდებით, როგორც იცავენ ადამიანები თავიანთ ეგოს, – განმარტავენ ამერიკელი მკვლევარები, – ჩვენც იძულებულები ვართ, თავდაცვით პოზიციაში გადავიდეთ – ჩვენივე შეცდომების გამო სხვას ვადანაშაულებთ, ამით საკუთარ თავსაც ვიცავთ და გარკვეულ სიამოვნებასაც ვიღებთ.

ეს ყველაფერი კი აიხსნება იმით, რომ ბრალდება შიშის ატმოსფეროს აყალიბებს, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ტვინში უამრავ ნეგატიურ რეაქციას იწვევს. შესაბამისად, საქმეში საკუთარი თავის გადარჩენის მცდელობა ერთვება.

მოკლედ, სხვის ხარჯზე საკუთარი ცხოვრების მოწყობის სურვილი ყველას ჰქონია...

...და ვითომ, დადებით შედეგებს მოგვიტანს ეს ყველაფერი?!

***oooportal.ru***

## რატომ არ ესმით მძინარე მამაკაცებს ბავშვის ტირილის?



დიდად კი არ გვესიამოვნა კანადელი მეცნიერების ეს აღმოჩენა, რადგან მიგვაჩნია, რომ შვილის აღზრდაში დედაზე ნაკლები დატვირთვა მამას ნამდვილად არ ეკისრება, მაგრამ რაკიღა ფაქტის წინაშე დავდექით, ძლიერმა სქესმა უნდა ვაღიაროთ, რომ თურმე, ძილის დროს ბავშვის ტირილს ჩვენი ყურადღების მიპყრობა არ შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ კანადელები და...

როგორც ირკვევა, კანადელმა მეცნიერებმა შეადგინეს იმ ხმების სია, რომელთაც ადამიანის გაღვიძება შეუძლია. ქალების შემთხვევაში, პირველ ადგილზე სწორედ ბავშვის ტირილი დასახელდა, რაც შეეხებათ მამაკაცებს, მათთან ჩვილის ტირილი პირველ სამეულშიც კი ვერ მოხვდა.



მძინარე მამაკაცის ყურადღებას, პირველ რიგში, თურმე, ავტომობილის ამოქმედებული სიგნალიზაცია იპყრობს. მეორე ადგილზეა ქარის ქროლვის ხმა, მესამეზე კი – ბუზის შემაწუხებელი ბზუილი.

ერთსა და იმავე გავლენას ახდენს მამაკაცზეც და ქალზეც ხულიგნების მიერ ატეხილი ხმაური და ასევე, პარტნიორის ხვრინვა.

ფსიქოლოგების განმარტებით, ხმების მიმართ განსხვავებული მგრძნობელობა სქესთა შორის არსებული ევოლუციური სხვაობით აიხსნება. კერძოდ, ქალი რეაგირებს ბავშვის ტირილზე, რადგან შვილის აღზრდაზე უფრო მეტი პასუხისმგებლობა ოდითგან დედას ეკისრება, აი, მამაკაცები კი ფხიზლდებიან ისეთ ხმებზე, რომელთაც ოჯახისთვის საფრთხის მოტანა შეუძლიათ (და რა შუაშია მაშინ ბუზის ბზუილი?!).

***vesti.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**30 მაისი:** მაქსიმალური სიფრთხილე გმართებთ. დაუდევრობა ძვირად დაგიჯდებათ. ის უსიამოვნება, რომელსაც დღის პირველ ნახევარში რთულად, მაგრამ მაინც თავს დააღწევთ, გაკვეთილად უნდა იქცეს.

**კურო 22.04-21.05**
**30 მაისი:** გენიალურ იდეებს ერიდეთ, განსაკუთრებით, სხვისას. თქვენსაში რამენაირად გაერკვევით მაინც, სხვების კი თავგზას აგირევთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**30 მაისი:** დღეს მწვანე შუქი აგენთებათ ყველა საქმეში, რომლებიც თქვენს პირად პრობლემებს ეხება. ფინანსურადაც წარმატებული დღე უნდა იყოს.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**30 მაისი:** კრიტიკულ შენიშვნებზე პასუხის გაცემა არ მოგიწევთ, რადგან არავინ არ გაგაკრიტიკებთ. თქვენი ყველა მოქმედება სათანადოდ იქნება აღქმული.

**ლომი 23.07-22.08**
**30 მაისი:** დღეს საშუალება მოგეცემათ ოდესღაც გადადებულ საქმეს კვლავ მოკიდოთ ხელი. საინტერესო კი ისაა, რომ გამოგივათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**30 მაისი:** რთულ ტექნიკას დღეს თავს ვერ გაართმევთ. ასე რომ, უმჯობესია, ნებისმიერი სახის ხელსაწყო-დანადგარებს არ გაეკაროთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**30 მაისი:** შეიძლება ვიღაცამ დღეს თქვენი შევიწროება და ადგილის დაკავება სცადოს. ყველაფერი იღონეთ და არავითარ შემთხვევაში არ დაუთმოთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**30 მაისი:** მთელი თქვენი ენერგია და ემოციები იმ საქმისკენ მიმართეთ, რომლის გაკეთებასაც დღეს აპირებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**30 მაისი:** პირადი ბიზნესისთვის შეუსაბამო დღეა. ასე რომ, თუ დღეს სწორედ ამ საქმით მოგიწევთ დაკავება, შეეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მაინც გადადოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**30 მაისი:** შეგიძლიათ დახმარების იმედი იქონიოთ, მით უმეტეს, რომ დღეს ის დაგჭირდებათ. თუმცა დაგეხმარებიან იმ მომენტში, როცა ლოდინი მოგბეზრდებათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**30 მაისი:** თქვენი ორგანიზმის მოთხოვნებს დააკვირდით და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილეთ, რად გინდათ, სანანებლად გაიხადოთ საქმე?

**თევზები 19.02-20.03**
**30 მაისი:** დღეს დიდი შესაძლებლობები გიჩანთ, მაგრამ მათ ვერ შეამჩნევთ და შესაბამისად, ვერ გამოიყენებთ, სანამ ახლო გარემოცვის გავლენისგან არ განთავისუფლდებით.

**ვმკურნალობ ხერხემლის თიაქარს, პროტრუზიას ოპერაციის გარეშე, სახსრებისა და ხერხემლის დაავადებებს.**
**599-22-11-66 ნუგზარ თაბუნიძე**

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს გამოცდილ ჟურნალისტებს**
**ანაზღაურება 640 ლარიდან**

**გამოცდილ ჟურნალისტს საინფორმაციო სააგენტოებზე მუშაობის პრაქტიკით – საინფორმაციო სამსახურის რედაქტორად.**

ტელ: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი 15 სთ-დან

„ალია“ მიიღებს და დაინტერესების შემთხვევაში გამოაქვეყნებს საავტორო სტატიებს შესაბამისი ანაზღაურებით.
სტატია გამოგზავნეთ ელფოსტაზე: alia@alia.ge

## სერბეთში დიდი პოპულარობით კონდიციონერიანი... კუბოები სარგებლობს



არ გვინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენოთ, მაგრამ მაინც ძალიან დიდი სურვილი გვაქვს, თავის ქალაში ჩავხედოთ იმ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ არჩევანს რატომღაც, კონდიციონერიან კუბოებზე აკეთებენ – რა, მიცვალებული გაგრილდება სამარეში თუ ფეხებს გაითბობს?!

ასეა თუ ისე, თურმე, სწორედ კონდიციონერიანი კუბოები სარგებლობს ყველაზე დიდი მოთხოვნით სერბეთში და უფრო მეტიც, ბიზნესი ყვავის, ჩქეფს და გადმოჩქეფს!

რაც ყველაზე საინტერესოა, კონდიციონერიანი კუბო, საშუალოდ, 6500 აშშ დოლარი ჯდება, თუმცა როგორც მწარმოებლები ამტკიცებენ, ისინი კლიენტების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიან(?!).

შეგახსენებთ, რომ გარკვეული პერიოდის წინ გერმანიაში სპეციალურად ჰომოსექსუალებისთვის განკუთვნილი კუბოებიც შექმნეს.

***etotupo.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მოხუცი ქალი „კალიასკაში“ ჩაიხედავს:

– უი, როგორი საყვარელი ტყუპები არიან! ორივე ბიჭია?

– არა, მხოლოდ ის, მარჯვნივ რომ წევს, მარცხნივ რომაა, ეგ ნესვია!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია ≫ 211359457 ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.34